# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 8 თებერვალი, 2008 წელი.

№ 24 (5882)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




ოპოზიციამ პარლამენტის შენობის წინ კიდევ ერთი გამაფრთხილებელი აქცია მოაწყო, რომელშიც ცხრა პარტია მონაწილეობდა. აქტივისტები რუსთაველის გამზირზე ცოცხალ ჯაჭვად განლაგდნენ ტრადიციული თეთრი ყელსახვევებითა და პლაკატებით. ტრანსპარანტებს მიხეილ სააკაშვილის და ლევან თარხნიშვილის ფოტოების ქვეშ ჰქონდა წარწერა – „ხმების ქურდები“.

დავით ზურაბიშვილის განმარტებით, ასეთი მშვიდობიანი აქციები ყოველდღიურად გაიმართება, ასე არალეგიტიმურ ხელისუფლებას შეახსენებენ, რომ ისინი ხმების ქურდები არიან, ისინი შეგუებას არ აპირებენ და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ გამყალბებლები დაისაჯონ. აქციების გარეშე მას ეჭვი ეპარება, რომ საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება.

# ოპოზიცია „ხმების ქურდების“ დასჯას ითხოვს



ეკა ბესელია: „მიხეილ სააკაშვილს და ლევან თარხნიშვილს ბრალს ვდებთ ხელისუფლების უკანონოდ ხელში ჩაგდებაში. მშვიდობიან საპროტესტო აქციებს კი 15 თებერვლის მანიფესტაცია დააგვირგვინებს, რითაც მათ ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ვაიძულებთ. ხელმოწერებთან ერთად, რომელიც ყველა მეტროსადგურთან გროვდება, პარალელურად ჩატარდება აქციები, რასაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შეუერთდება“.

2

## 8 თებერვალი წმიდა კეთილმსახური მეფის – დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა



16

## სიმბოლო და მემკვიდრე გელათის აკადემიისა...



2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაარსებიდან 90 წელი უსრულდება

## ვინ უფრო უარეს დღეშია - ხელისუფლება თუ ოპოზიცია?

3

## სიღარიბის დაძლევა ნაციონალურად!

8

## ხელისუფლება „დიალოგით“ ორი კურდღლის დაჭერას ლამობს...

5

№ 24. პარასკევი, 8 თებერვალი, 2008 წელი.

# ქვეყანა

● თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება ქართველი ხალხისათვის რიგითი უმაღლესი სასწავლებლის შექმნას როდი ნიშნავდა; ეს იყო ეროვნული კულტურული კერის ჩამოყალიბება, რომელიც მოწოდებული იყო მოეხდინა მრავალსაუკუნოვანი ქართული მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და მისი შემდგომი განვითარება



⦿ განსჯა

## ნდობის ფაქტორი

*ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობის უმთავრეს ფაქტორს ხელისუფლებასა და ხალხს შორის ნდობა წარმოადგენს. ხალხის მიერ გაკეთებული არჩევანი იმ ნდობის შედეგია, რომელიც უნდა არსებობდეს კანდიდატსა და ამომრჩეველს შორის. ხალხი უნდა ენდობოდეს თავის რჩეულს, მას უნდა სჯეროდეს, რომ ის დაპირებები, რომლებსაც კანდიდატი ჰპირდებოდა, „თუ 100-ით არა, 99 პროცენტით მაინც შესრულდება“ (ნაწყვეტი სტანდარტული ქართული სადღეგრძელოდან).*

**თუ უკვე არჩეული პირი დაპირებებს არ ასრულებს, ამომრჩეველს ორი გზა რჩება:**

1. მორჩილად დაელოდოს მომავალ არჩევნებს და ხმა უკვე სხვა კანდიდატს მისცეს.
2. პროტესტი გამოთქვას.

მოდით ვნახოთ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება საქართველოს მოსახლეობა და ის ე. წ. „დროებითი მთავრობა“, რომელიც როგორც ბატონმა პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ განაცხადა: „ყველაფერს გააკეთებს დარჩენილ სამ თვეში, რათა საქართველოს მოსახლეობამ უკეთ იგრძნოს თავი“. მართალია, ბატონი ლადო წამით ჩაფიქრდა და „მთელი საქართველოს მოსახლეობის“ ნაცვლად „საქართველოს მოსახლეობის ულარიბესი ნაწილი“ თქვა (რაც არ უნდა იყოს მაინც ეკონომისტია და ლოზუნგებზე მეტად უფრო ციფრებს და მის ხელთ არსებულ ინფორმაციას ენდობა), მაგრამ არა უშავს.

ენდობა, თუ არა საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, ბატონი პრემიერის ამ დაპირებას? ძალიან საეჭვოა, რადგან 6 იანვარს „კურიერში“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც ერთ-ერთ ასეთ ოჯახს შეეხებოდა.

ეს ოჯახი სოციალური დახმარების პროგრამიდან ამოიღეს და არსებობის ერთადერთი საშუალება წაართვეს.

როგორც ამ პროგრამის ადგილობრივმა კოორდინატორმა განმარტა, ამ ოჯახის მდგომარეობა კომპიუტერმა შეაფასა და დაასკვნა, რომ თურმე მათი მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს საჭირო ქულებს.

სიუჟეტში აჩვენეს ოჯახის უფროსი, რომელიც მეორე ჯგუფის ინვალიდია. აჩვენეს ამ ოჯახის სახლი, მოგვასმენინეს მეზობლების კომენტარები, აჩვენეს ბავშვი, რომელსაც ადრე უშვებენ სკოლიდან, რათა მან შეშის დაჩეხვა მოასწროს.

იხ. 6 გვ.

⦿ თარიღი

ამ დღეებში ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების 90-ე წლისთავს.

ოთხმოცდაათი წელი უმაღლესი სკოლის ცხოვრებაში დიდი ვადა როდია, თუ მას შევადარებთ მსოფლიოში ცნობილ დასავლურ უნივერსიტეტებს, რომლებიც არსებობის ასწლეულებს ითვლიან.

მაგრამ ჩვენ ჩვენი უმაღლესი განათლების ისტორია უნდა დავიწყოთ არა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებით 1918 წელს, არამედ საქართველოში უმაღლესი განათლების კერების არსებობით უკვე XII საუკუნეში და უფრო ადრეც, კერებისა, რომლებიც თავისი დროის ყველაზე მოწინავე, ელინისტურ ტრადიციებზე დამყარებულ ცენტრებს

### აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე

## სიმბოლო და მემკვიდრე გელათის აკადემიისა...

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაარსებიდან 90 წელი უსრულდება**

წარმოადგენდა, სადაც ისწავლებოდა აღმოსავლურ-დასავლური ფილოსოფია, რაც მოიცავდა იმდროინდელი მეცნიერებისა და განათლების ყველა ძირითად სფეროს.



სწორედ ელინისტური კულტურის — ამ აღმოსავლურ-დასავლური კულტურული სიმბიოზის — გამოხატულებაა უძველესი ქართული კულტურა, კულტურა ქვეყნისა, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზეა მოთავსებული და თავის თავში ტრადიციულად აერთიანებს ელინისტურ-დასავლურ კულტურულ ნაკადებს.

მაგრამ ეს უძველესი ქართული კლასიკური კულტურა და განათლება წყდება ჩვენს ქვეყანაში ბარბაროსული ძალების შემოჭრით, რამაც ხანგრძლივი დროით შეაფერხა ჩვენთან მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის განვითარება და მოსპო კლასიკური განათლების ტრადიციები.

ეს ტრადიციები, უკვე ევროპული განათლებისა და მეცნიერების სახით, აღდგა ჩვენში ქართული უნივერსიტეტის დაარსებით. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის დიდი ისტორიული მნიშვნელობა; სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული კულტურისა და ქართველი ხალხის წინაშე; უმაღლესი განათლების ახალი კერის დაარსებით თითქოს აღდგა გაწყვეტილი ძაფი კლასიკურ ქართულ ელინისტურ განათლებას, თანამედროვე ქართულ ეროვნულ განათლებასა და მეცნიერებას შორის, რომელიც დღეს მრავალ დარგში საერთაშორისო სტანდარტებს აღწევს, ზოგ შემთხვევაში აჭარბებს კიდეც ამ სტანდარტებს და თვით განსაზღვრავს გარკვეულ სფეროებში მსოფლიო მეცნიერული განვითარების დონეს. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით: „...მკვდრეთით აღდგა ის მეცნიერება და კულტურა, რომელიც მე-13 საუკუნის ბოლოდან მოკვდინებული იყო... 26 იანვარს, როდესაც გაიხსნა პირველი საზეიმო სხდომა, აუარებელი ხალხი დაესწრო... ძალაუფლების მქონე წრეები (მენშევიკები) ცივად შეხვდნენ მას...“

ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება 1918 წელს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო; სახელმწიფოებრივი მოწყობა საზოგადოდ ხომ წარმოუდგენელია ქვეყანაში ეროვნული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების გარეშე.

ნიშანდობლივია, რომ ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წელს საქართველოში უმაღლესი განათლების კერის აღდგენას ემთხვევა; ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება იყო იმავდროულად ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კულტურულ-მეცნიერული უზრუნველყოფა, მისი ერთ-ერთი ძირითადი გარანტი. ამიტომაა სწორედ, რომ ეროვნული უმაღლესი განათლებისა და ახალი ქართული მეცნიერების დამფუძნებელი — დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომლის სახელსაც დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ატარებს, — ამავე დროს ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ მედროშედ უნდა ჩაითვალოს. საგულისხმოა ამ მხრივ, თუ რა წინააღმდეგობა შეხვდა 1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 70-წლოვან საიუბილეო სხდომაზე ჩვენს მიერ წამოყენებულ წინადადებას, უნივერსიტეტს წოდებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელი. მხოლოდ დიდი ძალისხმევის შედეგად, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, მოხერხდა ამ წინადადების განხორციელება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის მისი დამაარსებლის სახელის მინიჭება, რაც მთელმა ქართულმა საზოგადოებრიობამ აღფრთოვანებით მიიღო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება ქართველი ხალხისათვის რიგითი უმაღლესი სასწავლებლის შექმნას როდი ნიშნავდა; ეს იყო ეროვნული კულტურული კერის ჩამოყალიბება, რომელიც მოწოდებული იყო მოეხდინა მრავალსაუკუნოვანი ქართული მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და მისი შემდგომი განვითარება, რომელიც მოწოდებული იყო გამოეყვანა ქართველი ხალხი საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც თავისთავადი, დამოუკიდებელი ერი თავისი მდიდარი კულტურული წარსულით, აწმყოთი და მომავლით...

ოცდამეერთე საუკუნეში წარმატებულნი გამოვლენ მხოლოდ ის ერები და ქვეყნები, რომლებიც მაღალი ინტელექტუალური პოტენციალით იქნებიან გამორჩეულნი; არა მხოლოდ ხალხის სიმრავლე და სამხედრო ძლიერება, არამედ ერის ინტელექტუალური და კულტურული დონე და მისი ისტორიული წვლილი საკაცობრიო ცივილიზაციაში — აი, ის კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ მომავალში ამა თუ იმ ხალხისა და ქვეყნის ადგილს სამყაროში.

ქართველ ერს ყველა მონაცემი აქვს იმისა, რომ დაიმკვიდროს მოწინავე ადგილი ცივილიზებულ ხალხებს შორის; ამის საწინდარია ქართველი ხალხის მაღალი სულიერება და ინტელექტუალური პოტენციალი.

ჩვენი მძლავრი სულიერი ფაქტორი — ჩვენი მეცნიერება და კულტურა — უნდა გამოვიდნენ სწორედ ხალხის გამაერთიანებლად და საყოველთაო თანხმობის აღმდგენელად, რაც ასე აუცილებელია ჩვენი შემდგომი არსებობისა და განვითარებისათვის; ჩვენი სულიერი, ინტელექტუალური, კულტურული და, საზოგადოდ, ეროვნული წინსვლისათვის ეს არის ერთადერთი გზა და საშუალება და ეს არის იმავდროულად საწინდარი ჩვენი მომავალი წარმატებებისა...

მწამს, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეს ტრადიციული კერა მაღალი ქართული მეცნიერებისა და კულტურისა, ისევე როგორც ამ უნივერსიტეტის პროფესურის ბაზაზე შექმნილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია — ჩვენი ეროვნული მეცნიერების სიმბოლო და მემკვიდრე გელათის აკადემიისა — საყოველთაო ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის მძლავრ საშუალებად იქცევა, რაც ქართველ ხალხს, როგორც მოწინავე კულტურულ ერს, XXI საუკუნის ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანს.

⦿ აქცია

## ოპოზიცია „ხმების ქურდების“ დასჯას ითხოვს

**(პირველი გვერდიდან)**

ეს ხელმოწერები პირდაპირი მტკიცებაა, იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის 53 პროცენტს სააკაშვილი არ აურჩევია. ეს იქნება იურიდიული დოკუმენტი, რომელიც თვალნათლივ დაანახებს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას საპრეზიდენტო არჩევნების აბსურდულ შედეგებს. რაც შეეხება მემორანდუმს, სკეპტიკურად ვარ განწყობილი, არ მჯერა, რომ ხელისუფლება რაიმე დათმობაზე წავა, რადგან აქამდე, მხოლოდ დაპირებები ისმის, შედეგი კი არ ჩანს. თუმცა იმითაც კმაყოფილი ვიქნები თუ ხელისუფლება, პოლიტპატიმრებს გაათავისუფლებს, რადგან დღის წესრიგში ირაკლი ოქრუაშვილის საკითხიც დგას. საუბარია 30 პოლიტპატიმარზე, მათ გარდა კი ისეთებიც არიან, რომლებზეც ძებნაა გამოცხადებული“, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

აქციის ბოლოს ახალგაზრდა აქტივისტებმა „ხმების ქურდების“ პლაკატები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისში შეყარეს, რის შემდეგაც დაიშალნენ.

**ლელა მანაველიშვილი**



ჯემალ კასრაძის ფოტო

# საზოგადოება

**საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ვაშინგტონიდან იმართება და ხელისუფლებაში ოპოზიციის მოსვლით არსებითად არაფერი შეიცვლება**



**თვალსაზრისი**

## გამორიცხული როდია, რომ ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ერთი და იგივე სცენარის მხოლოდ მექანიკური შემსრულებლები იყვნენ

### ვინ უფრო უარეს დღეშია - ხელისუფლება თუ ოპოზიცია?

**რაზე ოცნებობს ოპოზიცია და რაზე – ხელისუფლება, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ოპოზიცია ხელისუფლებაში მოსასვლელად განაგრძობს ბრძოლას, ხოლო ხელისუფლება თავს იმტვრევს, როგორ „გააფარჩაკოს“ ოდესღაც ისედაც „გაფარჩაკებულად“ მონათლული, როგორ შეუყენოს წყალი და საპრეზიდენტო არჩევნებით პირში ჩალაგამოვლებული საბოლოოდ სულ მთლად მშრალზე დასვას.**

ამ მიზნის მისაღწევად თურმე უბრალო რამ არის საჭირო – ოპოზიციის ერთიანობის შესახებ მითის გაცამტვერება. აქა-იქ, ჭორ-მართალის აგორებაც დაიწყეს: თითქოს ბზარის გასაჩენად ოპოზიციაშიც არიან ხელისუფლების შეგზავნილი მსტოვარნი, სააკაშვილის იდეური თანამზრახველები და პროვოკატორები, რომ ოპოზიციაში განხეთქილებაა და საპარლამენტო სიების დაკომპლექტების გამო ისინი ერთმანეთს დაერევიან, რომ მათაც მხოლოდ სკამები აინტერესებთ, და არა ხალხის ბედი... იმასაც ამბობენ, ასპარეზზე გამოვლენ ნაკლებად ცნობილი, ეგრეთ წოდებული, პარტიები, რომლებიც უწინ საერთოდ არ ჩანდნენ და დაიწყებენ ჭკუის სწავლებას, რომ მხოლოდ მათ ძალუძთ ხალხისთვის შვების მოტანა. ამით კი მოხდება ოპოზიციის დისკრედიტაციაო...

ბუნებრივია, მოარული ხმები უსაფუძვლო, ალბათ, არ არის. ექსპერტი გია ხუხაშვილი აღიარებს, რომ ოპოზიციის ერთიანობა, მართლაცდა, ხელოვნურია, რადგან იდეოლოგიურად გაერთიანებული არიან აბსოლუტურად განსხვავებული პარტიები, როგორც მემარცხენე, ასევე მემარჯვენე ორიენტაციისა, რაც უხერხულობას ბადებს, მაგრამ „პრინციპში ამის გამო ისინი არ არიან დამნაშავენი, ქვეყანაში პოლიტიკური პროცესია არაჯანსაღი და არჩევნები, სამწუხაროდ, ჯერჯერობით საომარ მდგომარეობაში მიმდინარეობს, ამომრჩეველიც ვინმეს კი არ აძლევს ხმას, არამედ ხმას აძლევს ხელისუფლების წინააღმდეგ.

თვითონ ამომრჩევლებში არის ოპოზიციის ერთიანობის მოთხოვნილება, ასე რომ, ოპოზიციაც ხარკს უხდის საზოგადოებრიობის ამ მოთხოვნას. პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ამ ეტაპზე ეს ერთიანობა უნდა შენარჩუნდეს და პარტიები კონსტიტუციური რეფორმების განხორციელების შემდეგლა უნდა დაუბრუნდნენ იდეოლოგიას და პროგრამებს. სადღეისო მდგომარეობით კი, ოპოზიციის ერთიანობა ობიექტური აუცილებლობაა, რათა არჩევნებზე წარმატებებს მიაღწიონ. ასეთია საზოგადოებრივი დაკვეთა“.

თუმცა, გიორგი ხუხაშვილისგან განსხვავებული აზრიც არსებობს: ოპოზიცია მძიმე დღეშია, რადგან ხალხის ნდობა ვერ გაამართლაო. იგულისხმება ის, რომ ხალხმა რადიკალური ნაბიჯების გადადგმა მოითხოვა, ოპოზიციამ კი ყველანაირად შეაჩერა ეს პროცესი. იგი ხალხს დაპირდა, რომ არჩევნების დღეს მათ ხმებს დაიცავდა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. არჩევნები ტოტალურად გაყალბდა... ოპოზიციამ ვერც ინაუგურაცია ვერ ჩაშალა...

„დღევანდელი ვითარება წვეთი წყალივით ჰგავს კენიის მაგალითს, – მითხრა პოლიტოლოგმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა, – დასავლეთი ოპოზიციას ეუბნება, არ მოგწონთ, ბატონო, მაგრამ ჩვენ ვცანით ეს ხელისუფლება, რადგან მან ჩაატარა კონკურენტული არჩევნები – თურმე აქ რამდენიმე კონკურენტი ეპაექრებოდა ერთმანეთს და, რაც მთავარია, არჩევნები ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაუტარებიათ. დასავლეთისთვის თურმე ის ყოფილა მთავარი, რომ ერთმანეთი არ დაეწვათ, არ დაეხოცათ დანარჩენი, ხოლო ის, სამართლიანად ჩატარდებოდა თუ არა, სულ ერთი აღმოჩნდა. ამას ვერაფრით ვერ მიხვდა ოპოზიცია. ახლა კი მიხვდა, მაგრამ... გვიანია. ოპოზიციამ ვერ მოაბრუნა ენა ბრაიზას საწინააღმდეგოდ, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბრაიზასთან მტლაშა-მტლუშს პირდაპირ ტელეეკრანზე ვხედავდით. ხალხი როგორღა უნდა ერწმუნოს ოპოზიციას, როცა ჭირის დღესავით ეზიზღება ბრაიზაც და მისთანებიც?

ამიტომ დღეს ოპოზიციას მეტი გამოსავალი არა აქვს – თუ ერთად არ იქნებიან, ცალ-ცალკე რაღას წარმოადგენენ? ეს ვითარება უძაღლო ქვეყანაში კატის აყეფებას ჰგავს. ასეთ დღეში აღმოჩნდით ყველანი, რაც ხალხმა კარგად იცის, მაგრამ რა მოიმოქმედოს, სხვა არავინ ჩანს ჰორიზონტზე? ამიტომ ოპოზიციის მეტი გზა აღარ რჩება – უნდათ თუ არა, უნდა ჩაეხუტონ ერთმანეთს, რომ ასე გაიტანონ თავი“.

თავის მხრივ, არა გვგონია ხელისუფლება ოპოზიციაზე უკეთეს დღეში იყოს. ხელისუფლებამ იცის, რომ ასე ვთქვათ, განაჩენი გამოტანილია ხალხის მხრიდან, მაგრამ თავს იკატუნებს და რასაც აკეთებს, მხოლოდ – მოჩვენებითად და თავის დასარწმუნებლად. იცის, რომ უმძიმესი ვითარებაა ქვეყანაში, რასაც ხალხი პროტესტით გამოხატავს, მაგრამ არ იმჩნევს.

ზემოთ ბრაიზა შემთხვევით არ მიხსენებია. საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ვაშინგტონიდან იმართება და ხელისუფლებაში ოპოზიციის მოსვლით არსებითად არაფერი შეიცვლება. ასეთ ძალებად ჰამლეტ ჭიპაშვილი მიიჩნევს რესპუბლიკურ პარტიას, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას: „მათი ფილიალების გახსნა საქართველოში დიდ ფულს უკავშირდება. ასევე, ამერიკელებთან ინტენსიური კავშირი აქვთ „ახალ მემარჯვენეებს“. გახსოვთ, ალბათ, დათო გამყრელიძეს იმითაც მოჰქონდა თავი, ბუშის ძმა ჩემი ძმაკაცია და აქ მყავდა ჩამოყვანილიო. ყველა ეს ორგანიზაცია, ეროვნული ფორუმის გარდა ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობდა ამერიკის სხვადასხვა არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციასთან და დღესაც თანამშრომლობენ“.

პოლიტოლოგის აზრით, ეს კავშირები მხოლოდ ლამაზი თვალებისთვის არ მყარდება და მათ უკან ფარული ზრახვები იმალება, რომ ვაშინგტონში სტაჟირებისა თუ ტრენინგების გასავლელად სისტემატურად არავინ ჩადის და შემთხვევითაც არავის აფინანსებენ. ჭიპაშვილის თქმით, ამერიკაში თავის დროზე მიწვეული იყო შალვა ნათელაშვილიც და აკაკი ასათიანიც, მაგრამ მათზე არჩევანი არ შეჩერდებოდა. ერთხანს „დავით გამყრელიძეზეც გააკეთეს აქცენტი, მაგრამ შემდეგ გამყრელიძე რატომღაც რბილ პიროვნებად მიიჩნიეს. სააკაშვილმა მათ მოაჩვენა თავი, რომ მოჭარბებულად პროამერიკულია, ყველას „გადაუჯოკრა“ და უკან ჩამოიტოვა. საქართველოს მომავალი ხელისუფალი უპირველეს ყოვლისა, ამერიკელებზე უფრო ამერიკელი უნდა იყოს.

თუმცა გიორგი ხუხაშვილი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ოპოზიცია ამერიკიდან იმართება: „ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ და მათ შორის ოპოზიციამ, განსაკუთრებით არჩევნების შემდეგ, კარგად გაიგო ერთი რამ, ვაშინგტონის შეფასებებმა ცხადყო, რომ ეს ურთიერთობები მხოლოდ მეგობრობაზე და იდეალებზე არ არის დამყარებული. ვაშინგტონში არსებობს მისი საკმაოდ პრაგმატული გაგება, რაც ჭკუის სასწავლებელია ჩვენი პოლიტიკოსებისთვის, და არა მგონია, რომ ასე ერთმნიშვნელოვნად მიბმა მოხდეს ვაშინგტონის პოლიტიკაზე, განსაკუთრებით ოპოზიციის მხრიდან. აშშ ჩვენი მეგობარია, მაგრამ მხოლოდ მეგობარი, და არა დირექტივების გამცემი“.

ბატონ გიორგის საკუთარი აზრი აქვს, მას მხოლოდ შევახსენებ, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში ხალხის დიდი ნაწილის უკმაყოფილება სწორედ საქართველოს ხელისუფლების უმართებულო პოლიტიკამ გამოიწვია – იგი უცხო ქვეყნის ინტერესებს ბრმად დამორჩილდა და ეროვნული ინტერესები უგულებელყო. საერთო ჯამში, მივიღეთ არა დემოკრატიული, არამედ პოლიციური სახელმწიფო. უკმაყოფილება დაგროვდა და მიტინგების და დემონსტრაციების ფორმა მიიღო. ახლა ხელისუფლება, ლევან ბერძენიშვილის ნათქვამს დავიმოწმებ, ოცნებობს, როგორმე იკლოს ხალხის რაოდენობამ ქუჩის აქციებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლება, რომელიც უამრავი ამერიკული დიპლომით იწონებს თავს, საკუთარ ხალხს და მის კულტურას არ იცნობსო.

„ჩემი ნება რომ იყოს, მთავრობას დავაპატიმრებდი, გურამ დოჩანაშვილისეულ კარცერ-ლუქსში ჩავსვამდი და ეროსი მანჯგალაძის ხმით ჩაწერილ „ვეფხისტყაოსანს“ მოვასმენინებდი, ანდა, გურამ საღარაძეს ვთხოვდი ამის წაკითხვას. დარწმუნებული ვარ, ნაციონალური პოეზიის ეს სიმაღლე მათთვის მიუღწეველი დარჩა. შეიძლება ამ პოემიდან ასე მაინც გაიგონ რამე, თუნდაც ის, რომ მხოლოდ პოლიციასთან თანამშრომლობა კი არ არის არსებითი, არამედ ისიც, რომ ადამიანები ერთმანეთის მეგობრები არიან, რომ გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანს დახმარება უნდა, რომ არსებობს იდეალი“ – ეს ლევან ბერძენიშვილის ოცნებაა, თუმცა, კარცერ-ლუქსის მისეულმა იდეამ არა მგონია, ამ ხელისუფლებაზე იმოქმედოს.

აქციები, ვფიქრობ, უნდა გაგრძელდეს, რადგან, გიორგი ხუხაშვილს თუ დავიმოწმებ, ერთადერთი ენა, რომელიც ამ ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს ესმის, პრესინგის ენაა. თუმცა, ხელისუფლებისა და ოპოზიციის კინკლაობა-კინკლაობაში გავა ეს სამი თვეც და გამორიცხული არ არის, საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, ნაცმოძრაობა მაინც უმრავლესობაში აღმოჩნდეს... არ არის გამორიცხული, ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ერთი და იგივე სცენარის მხოლოდ მექანიკური შემსრულებელნი იყვნენ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

**გორი**

## გუბერნატორი სასტუმროში



**ლადო ვარძელაშვილი, როგორც შიდა ქართლის მხარის გუბერნატორი, საზოგადოების წინაშე ჯერაც არ იყო წარდგენილი, რომ გორელებს თბილისიდან გვაიმედებდა, ისე ვიმუშავებ, ქალაქმა მალე იგრძნოს შვებაო.**

სანამ ასე მოხდებოდა, ლადო ვარძელაშვილმა ჯერ თავისი წინამორბედის „კუდები“ უნდა გაასწოროს. ამიტომ არც გუბერნატორად კურთხევის მეორე დღესვე იგი გორის სასტუმრო „ქართლში“ მივიდა, სადაც სამაჩაბლოდან დევნილები ცხოვრობენ (სიტყვა „ცხოვრება“ აქ პირობითად უნდა ვიხმაროთ).

– რამდენი ხანია შუქი აღარ გაქვთ?

– 20 იანვარს, – თქვა სასტუმროს ბინადარმა მაია მღებრიშვილმა, – ტელევიზიით პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაციას ვუყურებდით. ინაუგურაცია დამთავრდა და შუქიც გამორთეს. მას შემდეგ სიბნელეში ვზივართ. ამგვარად, ინაუგურაციას სიბნელე მოჰყვა. უბედურება კიდევ ისაა, რომ როცა შუქი არ არის, არც წყალი მოდის. წარმოგიდგენიათ, ალბათ, რა დღეშიც ვართ.

გუბერნატორი მოთმინებით უსმენდა მობინადრეებს. ბრალდებები გაისმოდა ხელისუფლების მიმართ, დევნილების შემოტევებს კონტრბრალდებებით იგერიებდნენ ენერგო და წყალ-კანალის სამსახურები. გუბერნატორი შეპირდა დევნილებს, ორი-სამი დღე მომეცით, საკითხში გავერკვევი და უცილობლად დაგეხმარებითო.

ლადო ვარძელაშვილი სასტუმროდან გამოვიდა და ლტოლვილების მოძახილი გამოჰყვა: ეგეთები მოგვისმენიაო?!

ვნახოთ.

**გურამ ვაშაკიძე**

# მოსაზრება

● არ არსებობს გეგმა, რომლითაც კონფლიქტების მოგვარება შეიძლება. ის, რომ რეგიონიდან რეგიონში დადიან, „კოკოითი ფანდარასტის“ ძახილით, არაფერია. მსვლელობა იქ ჩერდება, სადაც საზღვარია. იქით მხარეს ამით არაფერი იცვლება



◎ ინფორმაცია

## საქართველოს დამკვირვებლის სტატუსი მიენიჭა

საქართველო ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებასთან უფრო აქტიურად ითანამშრომლებს. ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ გიორგი აბდუშელიშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, 2007 წლის 18 დეკემბერს ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების ეგიდით გამართულ მინისტრთა საბჭოს რიგით მესამე შეხვედრაზე, საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს გაერთიანების დამკვირვებლის სტატუსი მიენიჭა.

– აღნიშნული ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად მიზანს რეგიონული ენერგეტიკული ბაზრების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ენერგოპროდუქტების და ენერგეტიკული მარშრუტების დივერსიფიკაცია და ენერგიის მიწოდების უსაფრთხოების ამაღლება წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველომ აქტიურად დაიწყო მუშაობა ევროპულ ოჯახში ღირსეული ადგილის დაკავებისთვის ევროპისა და აზიის სავაჭრო ურთიერთობების, ენერგოტრანზიტისა და კომუნიკაციების მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციის შესრულებით, – აღნიშნა აბდუშელიშვილმა.

## საპარლამენტო უმრავლესობის მოსაზრებები მთავრობამ გაიზიარა

კონტროლის პალატასთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობის მოსაზრებები მთავრობამაც გაიზიარა. ამის შესახებ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ბუცხრიკიძემ განაცხადა.

დეპუტატებს შენიშვნები კონტროლის პალატასთან მიმართებაში „საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით ჰქონდათ და მასზე უმრავლესობისა და პრემიერ-მინისტრს ლადო გურგენიძის შეხვედრაზეც ისაუბრეს.

კერძოდ, დეპუტატებს აინტერესებდათ, კანონპროექტის მიხედვით რატომ სუსტდება კონტროლის პალატის ფუნქციები ეტაპობრივად და რატომ ენაცვლება მას კერძო აუდიტის შემოწმება.

დეპუტატებს შენიშვნა ჰქონდათ „მომავალი თაობების ფონდის შესახებაც“. კერძოდ, კანონპროექტის მიხედვით, ამ ფონდის აუდიტორულ შემოწმებას კონტროლის პალატა არ ატარებს.

– ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ზოგადად მთავრობა მიდიოდა კონტროლის პალატის გაუქმებისკენ, – ასეთი იყო პარლამენტარების კითხვა.

გარდა ამისა, დეპუტატებს აინტერესებდათ, რატომ არ ჰქონდა კონტროლის პალატას კომერციული საიდუმლოებების გაცნობის უფლება მაშინ, როდესაც სახელმწიფო დაწესებულებაში ფინანსური სახსრების გადამოწმებას კონტროლის პალატა ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე ახორციელებს.

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ბეჟან ბუცხრიკიძემ განაცხადა, კონტროლის პალატასთან მიმართებაში მთავრობამ დეპუტატების ყველა შენიშვნა გაიზიარა და, შესაბამისად, იგი საკანონმდებლო პაკეტშიც აისახება.

ინტერპრესნიუსი

◎ რეინტეგრაცია

# გიორგი ხუხაშვილი:

# არ არსებობს გეგმა, რომლითაც კონფლიქტების მოგვარება შეიძლება

*რეინტეგრაცია... თემურ იაკობაშვილი...*

*ახალი საქმე ახალ სახეს დაუკავშირდა.*

*რეალურად კი არც საქმეა ახალი და არც იაკობაშვილის პერსონაა უცნობი. პირიქით, მან თავი ამ არჩევნებზე ეგზიტპოლების კვლევებით დაგვამახსოვრა, თუმცა, როგორც მისი ოპონენტები ამბობენ, არც თუ სახარბიელოდ.*

*რას ნიშნავს რეინტეგრაცია, რა უნდა გააკეთოს ახალმა მინისტრმა? – თავის შეხედულებებს გვიზიარებს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორი გიორგი ხუხაშვილი.*

– თქვენთან საუბრის შემდეგ ახალ მინისტრთან შეხვედრაზე მივდივარ. ახალმა მინისტრმა მიგვიწვია არასამთავრობო ორგანიზაციები, რათა ერთობლივი გადაწყვეტილებები მივიღოთ. თანამშრომლობა შემოგვთავაზა. ეს ქცევა განსხვავდება წინა შემადგენლობის ქმედებისაგან, დავით ბაქრაძეს მსგავსი სურვილი არასოდეს გამოუხატავს.

**– ვინ არის თემურ იაკობაშვილი, რა წარსული აქვს და რამდენად შეესაბამება ის რეინტეგრაციის მინისტრის პოსტს?**

– ის ახალ სახელდ აღიქმება, დიდი ხანია ვიცნობ და ვიცი, რომ მუშაობდა კონფლიქტებთან დაკავშირებულ საკითხებზე. მას აქვს სერიოზული თეორიული განათლება ამ დარგში, ასევე, პოლიტოლოგიაში, გეოპოლიტიკაში. ის მუშაობდა სტრატეგიული დაგეგმარების ფონდში და არაერთ სერიოზულ პროექტში მონაწილეობდა. იაკობაშვილი ამ თანამდებობაზე მოუმზადებელი არ მოსულა. მას მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილება სჭირდება, მას მძიმე ამოცანა აქვს, ხელისუფლებას არ ეტყობოდა, რომ ფიქრობდა კონფლიქტების მოგვარებაზე, არ აინტერესებდა დიალოგის განვითარება, ყოველ შემთხვევაში, აქამდე მაინც.

**– ყოფილი მინისტრი დავით ბაქრაძე ამბობდა, რომ ხელისუფლებამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ და ერთ-ერთია, გაზაფხულიდან საერთაშორისო საზოგადოების მიერ მოლაპარაკების ფორმატის გადახედვის დაწყება.**

– მოლაპარაკების ფორმატის შეცვლაზე საუბარი ბაქრაძის დროს არ დაწყებულა. ეს ხდებოდა გოგა ხაინდრავას, მერაბ ანთაძის მუშაობის პერიოდში, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მეტი ირაკლი ალასანიამ გააკეთა.

**– კონკრეტულად რა იგულისხმება ფორმატის შეცვლაში?**

– მოლაპარაკების ის ფორმატი, რაც დღეს არსებობს, დისკრიმინაციული და დანაშაულებრივია, უნდა დაისვას საკითხი, ვინ და რატომ მოაწერა ხელი თავის დროზე ასეთ ხელშეკრულებას.

1992 წელს დაიდო ოთხმხრივი ხელშეკრულება ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში. მხარეები არიან: საქართველოს რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა (თითქოს ეს უკანასკნელი რალაც განსხვავებული ცალკე სუბიექტი იყოს!). როდესაც შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეები იღებდნენ გადაწყვეტილებას „კონსენსუსით“ ან ხმათა უმრავლესობით, საქართველო უმცირესობაში იყო. სამი ხმა ყოველთვის ერთის წინააღმდეგია. ეს კი რუსეთის დომინირების საშუალებას აძლევს. აფხაზეთის საკითხის განხილვის დროს სამი მხარეა და აქაც აფხაზეთი და რუსეთი ყოველთვის საქართველოს წინააღმდეგია.

**– ფორმატის გადახედვა რას მოგვცემს?**

– აუცილებელია დაბალანსებული მდგომარეობა იყოს. მაგალითად სასურველია შემოვიდეს ისეთი სუბიექტი, რომელიც ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში სანაკოევის მხარეა.

**– დიმიტრი სანაკოევს საერთაშორისო დონის ლეგიტიმაცია აქვს?**

– არა, არა აქვს. ლეგიტიმაციისკენ პირველი ნაბიჯები შარშან გადაიდგა, როცა ის წარუდგინეს საერთაშორისო საზოგადოებას ბრიუსელში, იქ ოსურ ენაზეც გამოვიდა. ამას უნდა მოჰყოლოდა განვითარება, მაგრამ ასე არ მოხდა.

**– რატომ?**

– როცა ამის შესახებ აზრს დიპლომატებს ვეკითხებოდი ბრიუსელში, რა უნდა გაკეთებულიყო და რა არ გაკეთდა, ასეთ რამეს ამბობდნენ: თქვენ თუ აპირებთ სანაკოევის ლეგიტიმაციას, ჩვენ შეგვიძლია მხარი დაგიჭიროთ იმ შემთხვევაში, თუ ეს კაცი წარმოადგენს კონფლიქტის მხარეს, მაგრამ თუ ის თქვენს მხარეზეა და მასთან პრობლემა არა გაქვთ, მაშინ მოლაპარაკება უნდა წარმოებდეს იმასთან, ვისთანაც უთანხმოება გაქვთო.

**– ე. ი. სანაკოევი გამოირიცხა და მხარედ არ აღიარეს?**

– ასე გამოდის. ამიტომ ვამბობ, რომ საჭირო იყო ნიადაგის შემზადება საერთაშორისო დონეზე, რაც არ მომხდარა.

**– სანაკოევის ფაქტორის გაჩენამ რა შედეგი მოიტანა?**

– ამ პროექტს თეორიულად ძალიან დიდი შანსი ჰქონდა, პრაქტიკულად კი არაფერი არ გაკეთდა ამ შანსის გამოსაყენებლად. ხელისუფლებამ იჩქარა.

**– ვინ არის რეალურად დიმიტრი სანაკოევი?**

– სანაკოევი კოკოითის მთავრობის შემადგენლობაში იყო, მერე გარკვეულ ჯგუფთან ერთად განუდგა მას და ქართულ მხარეს გადმოვიდა. ეს, რა თქმა უნდა, დადებითი ფაქტია, რომელიც იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ იქითა მხარეს არიან ადამიანები, რომლებიც არ იზიარებენ კოკოითის რეჟიმს.

**– პრესაში იყო სანაკოევის ნათესავების წერილი სააკაშვილისადმი, სადაც ისინი აღნიშნავდნენ, რომ ის ქართული მხარის მძევალია და მის გათავისუფლებას ითხოვენ.**

– ეს იმიტომ მოხდა, რომ კოკოითის რეჟიმმა ბოიკოტი გამოუცხადა სანაკოევის მთელ გვარს, ზეწოლის ქვეშ არიან იქ მყოფი მათი ნათესავები, რომლებსაც საგანგებოდ მოწვეულ ყრილობაზე ხელი მოაწერინეს, რომ უარს ამბობენ დიმიტრი სანაკოევზე.

**– ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს გადაწყვეტილება მართებული იყო?**

– გადაწყვეტილება მართებული იყო, მაგრამ ისე ვერ განვითარდა, რომ მას რეალური შედეგი მოჰყოლოდა. ხელისუფლებას ეგონა, რომ სანაკოევსაც კონფლიქტის მხარედ აღიარებდნენ კოკოითთან ერთად, რაც არ მოხდა.

**– ბატონო გიორგი, პრეზიდენტი სამხრეთ ოსეთს ამბობს, თქვენ ცხინვალის რეგიონს უწოდებთ, რომელი უნდა ვთქვათ?**

– კონფლიქტის ზონის გამო არსებობს მრავალფორმატიანი ტერმინოლოგია. მე ვფიქრობ, რომ საქართველოში უნდა ვიხმაროთ ცხინვალის რეგიონი. მაგრამ როცა საერთაშორისო ორგანიზაციები ამდენი ხნის განმავლობაში წერენ სამხრეთ ოსეთს, ამას ადვილად ვერ შეაცვლევინებ. მათი არგუმენტი ასეთია: ეს არის გეოგრაფიული ტერიტორიის დაფიქსირება და არა პოლიტიკური პოზიციის გამჟღავნებაო, სხვა რამე რომ ჩავწეროთ, ვერავინ ვერ გაიგებს, რაზეა ლაპარაკიო. ამაში არის ლოგიკა. სიტყვა „სამხრეთი“ მიანიშნებს იმას, რომ არის ორად გახლეჩილი საზოგადოება, სხვადასხვა სახელმწიფოში მოხვედრილი ხალხი, რომელსაც სრული სანქცია ექლევა იმისთვის, რომ იფიქროს გამოყოფაზე და გაერთიანებაზე.

აფხაზეთი ისტორიულად აფხაზეთია. აქ პრობლემა არ არის. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო დოკუმენტებში ყველგან წერია „სამხრეთ ოსეთი“, მაგრამ როცა აფხაზეთზეა საუბარი წერია – „აფხაზეთი, საქართველო“.

**– რეინტეგრაცია მართლაც ნაადრევია?**

– რა თქმა უნდა. როდესაც ვამბობდით კონფლიქტების მოგვარებას, ეს იყო ნეიტრალური პოზიცია და მეორე მხარეს საბაბი არ ჰქონდა მოლაპარაკების შესაფერხებლად. რეინტეგრაცია კი მისცემს იმის თქმის საშუალებას, რომ ადრეა ამაზე ლაპარაკი, მაშინ, როცა ჯერ ურთიერთობა არც გაგვირკვევიაო. ესეც ერთ-ერთი წინდაუხედავი ნაბიჯია, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულება, მგონია, რომ უარყოფითი იქნება.

**– კოდორის ხეობისადმი თქვენი მიდგომა როგორია?**

– კოდორის ხეობაში გამაგრდა ქართული პოზიციები კვიციანის გასვლის შემდეგ. მას ზემო აფხაზეთი დაერქვა. ესეც კარგად მოფიქრებული გეგმაა, რომელსაც განვითარება არ მოჰყვა. თუ იმის მტკიცება გვინდა, რომ არსებობს ორად გაყოფილი აფხაზეთი, მაშინ უნდა დავინახოთ ორად გაყოფილი აფხაზები.

**– ანუ ხელისუფლებას სანაკოევის მსგავსი აფხაზი უნდა ეპოვა?**

– დიახ, იმიტომ, რომ თუ ამბობს, რომ არსებობს მეორე აფხაზეთი, რომელიც ჩვენია, სადაც აფხაზი არ ცხოვრობს. ეს ალოგიკურია. ამიტომაც საერთაშორისო საზოგადოება არ არქმევს მას ზემო აფხაზეთს და ამბობს, რომ ეს არის კოდორის ხეობის ზემო ნაწილი, რომელიც იყო სადავო ტერიტორია, თუმცა ის არასოდეს არ ექვემდებარებოდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას. არც ის ტერიტორია იყო ოსეთის, რომელსაც ახლა სანაკოევი აკონტროლებს. კარგია, რომ ამ ტერიტორიაზე ქართული იურისდიქცია აღდგა, მაგრამ ნუ გავასაღებთ ამ ფაქტს ისე, რომ თითქოს რაღაც ცვლილებები შევიდა კონფლიქტის ზონაში. ეს შეიძლება მომხდარიყო კიდეც, მაგრამ არ მოხერხდა იმის გამო, რომ არა გვაქვს გათვლილი და თანამიმდევრული პოლიტიკა. არ არსებობს გეგმა, რომლითაც კონფლიქტების მოგვარება შეიძლება. ის, რომ რეგიონიდან რეგიონში დადიან, „კოკოითი ფანდარასტის“ ძახილით, არაფერია. მსვლელობა იქ ჩერდება, სადაც საზღვარია. იქით მხარეს ამით არაფერი იცვლება.

**– ალბათ, ამ საკითხებზე ისაუბრეთ იაკობაშვილთან, მაგრამ თუ მიიღებს მხედველობაში, ნეტავ?! ის ხომ ხელისუფლების კურსის ერთგულია?**

– ის ჭკვიანი, მოაზროვნე კაცია. ხელისუფლებისკენ რომ იხრება, იმიტომაც არის ხელისუფლებაში, სხვანაირად იქ ვერც მოხვდებოდა, ეს მივიღოთ, როგორც ფაქტი. მაგრამ ვინაიდან ის მთავრობაშია, მგონია, რომ პოზიციის დაცვა შეუძლია. ახლა მთავარია, რამდენად შეუწყობს ხელს ხელისუფლება. ალბათ, ცვლილებებს გეგმავენ და იმიტომაც დანიშნეს იაკობაშვილი.

ესაუბრა
**თეა მოსია**

## დღევანდელობა

**სერიოზული დიალოგი ორმხრივ დათმობებს გულისხმობს და, თუ ბ-ნი მიხეილი რაღაცის დასათმობად მართლა მზად არის, საქმის წარმატებისათვის იქნებ ოპოზიციაც წასულიყო დაუთმობლის დათმობაზე**



**შორიდან — ახლოს**

# ხელისუფლება „დიალოგით“ ორი კურდღლის დაჭერას ლამობს...

*იმ პოლიტიკური ჩიხიდან, რომელშიც არჩეული პრეზიდენტი ინაუგურირებული არ არის, ხოლო ინაუგურირებული „პრეზიდენტი“ არჩეული არ არის, ერთადერთი მშვიდობიანი გამოსავალი, რა თქმა უნდა, დიალოგია, მაგრამ იგი ნამდვილი უნდა იყოს და არა თვალთმაქცობა. დიალოგი, როგორც თანხმობის მიღწევის საშუალება, ორმხრივ დათმობას გულისხმობს, იქ კი, სადაც ერთ მხარეს არაფრის დათმობა არ სურს, ხოლო მეორე მხარეს დასათმობი არაფერი აქვს, ვერც თანხმობა მიიღწევა და ვერც დიალოგი შედგება.*

ხელისუფლება „დიალოგით“ ორი კურდღლის დაჭერას ლამობს: ერთის მხრივ, სახელი გაუტეხოს ოპოზიციას, თითქოს იგი ხელისუფლებასთან შეთანხმებით თანამდებობებს ესწრაფვოდეს, ხოლო მეორეს მხრივ, თვითონ მამა აბრამის ბატკნად მოგვაჩვენოს თავი, შემომხედეთ, ულტიმატუმით მოლაპარაკე ოპოზიციასაც კი დიალოგს ვთავაზობო.

სინამდვილეში, აქ სადიალოგეც არაფერია: საქმე ეხება უბრალოდ ხელისუფლების მხრივ კანონის დაცვას, რომლის მოთხოვნას იგი „ულტიმატუმს“ უწოდებს. დაიცვას ხელისუფლებამ კანონი და აღარც ულტიმატუმი იქნება საჭირო და აღარც დიალოგი. მაგრამ მას დიალოგი იმისათვის სჭირდება, რომ ითვალთმაქცოს და არ დაიცვას კანონი.

დიალოგს არასერიოზულს ხდის ის გარემოებაც, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები ელაპარაკებიან არა უშუალოდ მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, არამედ ნინო ბურჯანაძეს, მიხეილ მაჭავარიანს თუ სულაც ნაზი არონიას, რომლებზეც ფაქტობრივად არაფერია დამოკიდებული. მერე რა, რომ სააკაშვილი ლეგიტიმური პრეზიდენტი არ არის, რეალური ძალაუფლება მის ხელშია და საჭიროა, უშუალოდ მასთან გაიმართოს მოლაპარაკება. ლაპარაკი აღიარებას არ ნიშნავს. ყაჩაღსა და ტერორისტსაც ელაპარაკებიან, რომ, გამოსასყიდის ფასად, გაანთავისუფლებინონ მძევალი. ბ-ნ მიხეილს ყაჩაღობასა და ტერორისტობას ვერ ვაკადრებ, მაგრამ საქართველო რომ მძევლად ჰყავს, ეს კი ნამდვილია. ჰოდა, საქართველოს გასათავისუფლებლად, კი ღირდა მასთან დალაპარაკება. ბოლოს და ბოლოს, გაგვეგო, რას მოითხოვს იგი ამაში.

სერიოზული დიალოგი ორმხრივ დათმობებს გულისხმობს და, თუ ბ-ნი მიხეილი რაღაცის დასათმობად მართლა მზად არის, საქმის წარმატებისათვის იქნებ ოპოზიციაც წასულიყო დაუთმობლის დათმობაზე. წარმატების საწინდარი ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებაა და ოპოზიციამაც, თავის მხრივ, უნდა გაითვალისწინოს სააკაშვილის სასიცოცხლო ინტერესები. თუკი ბ-ნი მიხეილი დაანებებს ხალხს, მემორანდუმის რამდენიმე საკვანძო პუნქტზე შეთანხმებით, საპარლამენტო არჩევნები მაინც სამართლიანად ჩაატარებინოს, ჯანდაბას, აღიაროს ოპოზიციამ მისი ლეგიტიმურობა, ხოლო თუ ამაზეც არ წამოვა, გარანტიაც მისცეს მას, რომ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ (რა თქმა უნდა, ოპოზიცია გაიმარჯვებსძ პრობლემას არ შეუქმნის მის პრეზიდენტობასაც. ოღონდ, ერთი პირობით: რომ თავს დაანებებს უზურპატორობას!

ოპოზიციის მემორანდუმის 17 პუნქტიდან ერთიც არ არის ისეთი, რომ ნორმალური ხელისუფლებისათვის საერთოდ დიალოგს საჭიროებდეს. წესით, მათ უნდა დამატებოდა სხვა მოთხოვნებიც, მაგალითად, გამომცემლობა „სამშობლოს“, მწერალთა და კომპოზიტორთა სახლების, უნივერსიტეტის (აკადემია უკვე ცალკე განხილვის საგანიაძ, სასოფლო ტყეების, მდინარე-ტალების და ა.შ. პატრონებისათვის დაბრუნება, თბილისის მერის გადარჩევა, ოქრუაშვილის მიერ სააკაშვილისათვის წაყენებული ბრალდებების გამოძიება და სხვა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ, ჯერ ერთი, საქმე გვაქვს არანორმალურ ხელისუფლებასთან, და მეორე, საჭიროა, მთავარზე გამახვილდეს ყურადღება და მინიმუმამდე დავიდეს მოთხოვნები, რომ ხელისუფლებას არ მისცეს საშუალება, აქეთ-იქით მიედ-მოედოს და არჩევნებამდე დარჩენილი მცირე დრო ლაპარაკში გაიყვანოს.

რა უნდა ელაპარაკო, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკითხი ვითომ „უკვე მოგვარებული“ იყო და მისი მოთხოვნა თურმე „ღია კარის მტვრევა“ გახლდათ, მაგრამ იმისათვის, რომ მის ანტისაზოგადოებრივ ადმინისტრაციას პანღური ამოჰკრან და საზოგადოებრივით შეცვალონ, თვეები ყოფილა საჭირო! ამის გამო შენიშნა ოპოზიციის ერთ-ერთმა თავკაცმა ჯონდი ბაღათურიამ ბ-ნ მიხეილ მაჭავარიანს, „კონსტიტუციას ერთ დღეში ცვლით და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციის შეცვლას თვეები სჭირდებაო“?

მაგრამ ბ-ნ მიხეილსაც ადამიანურად უნდა გავუგოთ: მას ეშინია, რომ 7 ნოემბრის დანაშაულის შემდეგ, რომელიც მან ჩაიდინა თუ ჩაადენინეს, ჟურნალისტ დავით მხეიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხელისუფლების დაკარგვისთანავე ქართველი ხალხის რისხვა დაატყდება თავს“. ეს შიში აიძულებს მას, ხალხის წინაალმდეგ ძალოვან სტრუქტურებს დაეყრდნოს. ამიტომ, თუ გვინდა ძალოვანი სტრუქტურებისაგან გავათავისუფლოთ იგი და მასთან ერთად ხალხიც, მას შიშის საფუძველი უნდა მოვუხსნათ.

სასაცილოდ და შეუსაბამოდ გამოიყურებოდა ოპოზიციის ადრინდელი ლოზუნგი: „არ მეშინია!“ რიღასი უნდა შინებოდათ ადამიანებს, რომელთაც ყველაფერი წაართვეს?! ამიტომ ამბობდა თავის დროზე მარქსი: ერთადერთი, რაც პროლეტარებმა შეიძლება დაკარგონ, ეს მათი ხუნდებიაო. ეშინიათ მათ, ვისაც ყველაფერი აქვთ და ყველაფერი მიტაცებულია. როდესაც ვადამდელი არჩევნების წინ პრეზიდენტობის კანდიდატი სააკაშვილი ოპოზიციისათვის დასაბრუნებელ პიონერის ყელსახვევზე აწერდა „ნუ გეშინიათო“, ამით იგი უნებლიეთ საკუთარ შიშს გასცემდა. ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო. ვფიქრობ, თავის დამშვიდების მცდელობასვე გამოხატავდა, ვიდრე გულუბრყვილობას, მისი ფრაზაც „ქარიშხალი ჭიქაში“, არჩევნების გაყალბების წინაალმდეგ 200 000-კაციან საპროტესტო მიტინგს რომ უწოდა.

შიში ნორმალურობის ნიშანია, მაგრამ მან არ უნდა აგიტანოს და გონება არ უნდა დაგაკარგვინოს. სწორედ შიშისაგან გონების დაკარგვის შედეგი გახლდათ 7 ნოემბრის შეუსაბამო სისასტიკეც. სისასტიკე, სიმხდალე, შიში — ერთი რიგის მოვლენებია. ამიტომ გვაფრთხილებდა ირაკლი ოქრუაშვილი, „ეგ მხდალი კაცია, მაგისგან ყველაფერი მოსალოდნელიაო“.

ნუ გეშინიათ, ბ-ნო მიხეილ! ქართველი ხალხი საოცრად დიდსულოვანი და მიმტევებელია. სწორედ ამ დიდსულოვან მიმტევებლობას გამოხატავს იმავე დავით მხეიძის სიტყვები: „მაგრამ რაც იყო, იყო, მიხეილ სააკაშვილი, ვინმე აღიარებს თუ არა, მეორე ვადით დე ფაქტოც და დე იურეც საქართველოს პრეზიდენტია და პირველ რიგში, ჩემი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, წარმატებებს ვუსურვებ“.

ქართველ ხალხს თქვენგან განთავისუფლება იმისათვის კი არ უნდა, რომ შური იძიოს და „რიხვა დაგატეხოთ თავზე“, არამედ იმისათვის, რომ ადამიანური ღირსება დაიბრუნოს და ადამიანებად გაქციოთ თქვენც. განა, ადამიანობა ჰქვია იმას, რასაც თქვენ აკეთებთ?! წაიკითხეთ ზაზა ბილიხოძის სტატია „პატიმრები ყოველდღიურად იხოცებიან, ზომების მიღებას კი არავინ ფიქრობს“? „ნანა კაკაბაძის განცხადებით, ქალთა კოლონიაში 200 ადგილზე 500-ზე მეტი პატიმარი ჰყავთ. პატიმრები დერეფნებშიც არიან განთავსებულნი. საშინელი ანტისანიტარიაა. რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, მოქმედია მხოლოდ ერთი ტუალეტი...რიგები უზომოდ დიდია. საპირფარეშოდან გამოსული იმ წუთასვე ახალ რიგს იკავებს, რომ საღამომდე მოუწიოს...“(„საქართველოს რესპუბლიკა“ 02.02.2008ძ?

თუმცა თქვენ გაზეთებს არ კითხულობთ. არც თქვენი მეუღლე კითხულობს? მაშ, რა იცის, რა არის „კატასტროფა“? ამაზე უარესიც წარმოუდგენია? ასეთ რამეს ტერორისტები არ უკეთებენ თავის მძევლებს. ევროპას რომ მიელაპარაკებით, ჰკითხეთ მას, ასეთი ციხეებია ჰოლანდიაში? ვაი, თქვენს ხელში ჩავარდნილ ადამიანებს!

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე



**ყველას თავისი აზრი აქვს**

# ოპოზიციურ ძალთა სამარცხვინო პოლიტიკური თარეში

**შვიდი ნოემბერი ჩვენი ქვეყნის „ეროვნული ოპოზიციური მოძრაობის“ ისტორიაში მრავალი სამარცხვინო პოლიტიკურ ქმედების გაგრძელება იყო, სადაც არ შეცვლილა არც მოქმედ პირთა ვინაობა და არც ანტიეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე „პოლიტიკურ“-კრიმინალური მოქმედებების კურსი.**

მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის იმ ნაწილს მივმართო, რომელიც 7 ნოემბერს პოლიტიკაში პროვოკაციის იარაღად და მსხვერპლად იქცა, რათა შეცნობილ იქნას დანაშაულებრივ ქმედებათა არსი, რომელთა განხორციელებაც ჩვენი მტრის საქმეს განზრახ თუ „უნებლიეთ“ ემსახურებოდა. საქართველოს კანონმდებლობა ამგვარი ქმედებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას ითვალისწინებს. სახელმწიფოს წინაალმდეგ დანაშაული კანონით ისჯება ან აღმოიფხვრება იმ სამართლებრივად უფლებამოსილი სამსახურის მიერ, რომელთაც 7 ნოემბერს აღასრულეს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვითი ღონისძიება.

ჩვენ კარგად გვახსოვს ოთხმოცდაათიანი წლების მოვლენების ელვისებური განვითარება, კრიმინალური მოქმედებების ჯაჭვი და ანტისახელმწიფოებრივი მიმართულებების შედეგები, რისთვისაც კანონის წინაშე პასუხისმგებლობა ჯერ არავის დაკისრებია, რამაც ბუნებრივია, დაუსჯელობისა და რეციდივის სინდრომი დანერგა. ბუნებრივია ისიც, რომ დღევანდელი ოპოზიციის ლიდერები ამართლებენ ხელისუფლების შეცვლას კანონსაწინააღმდეგო ქმედებების საფუძველზე, თუკი მმართველი ძალა არ დაიცავს მათ პოლიტიკურ ინტერესებს. ასეთ გამოვლინებებთან, სავარაუდოდ, ხშირად მოგვიწევს შეხვედრა, თუ საჭირო ზომებს არ მივიღებთ, რაც კანონის უზენაესობასა და სახელმწიფო ინტერესების დაცვას ითვალისწინებს.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მოცულია ეკონომიკური კრიზისით, რაც თავისთავად პროტესტის ერთგვარი საწინდარია და ამავდროულად მტრის საუკეთესო იარაღს წარმოადგენს. მინდა მკითხველის ყურადღება ერთ ფაქტს მივაპყრო. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ დამნაშავე, რომელიც, ნებით თუ დაუდევრობით ჩადის დანაშაულს, ორივე შემთხვევაში პასუხს აგებს თავისი ქმედების გამო, თუნდაც ეს, ამ შემთხვევაში, პოლიტიკური უვიცობის ერთ-ერთი გამოვლინების შედეგი იყოს, რაც ჩვენს ოპოზიციურ „ელიტას“ არ ეპატიება, ვინაიდან მას ქვეყნის მართვის ამბიცია აქვს. თუ გავაანალიზებთ შვიდ ნოემბერს ხელისუფლების მიერ გამოვლენილ ნებას, იმ აზრამდე მივალთ, რომ დღეს, ხელისუფლების სამწუხაროდ გამართლებულმა მოქმედებამ შეგვინარჩუნა სახელმწიფო. მისმა ვაჟკაცურმა და სწრაფმა გადაწყვეტილებამ შედეგად ის მოგვცა, რომ ერთხელ და სამუდამოდ საფუძველი ჩაეყრება ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთას. ქართველ საზოგადოებას კარგად მოეხსენება ისიც, რომ სწორედ პოლიტიკურ სისუსტედ მიეთვალა საქართველოს პირველ პრეზიდენტს დამნაშავეთა მიმართ ჰუმანური მიდგომა, რაც საწინდარია ახალი ბალვაშებისა და მათი მემკვიდრეების წარმოშობისა. ვგონებ, საქართველოს მოსახლეობა არ საჭიროებს ამ სამარცხვინო „გმირთა“ გვარების შეხსენებას.

**მუხრან ბურჭულაძე**

● საპარლამენტო არჩევნების წინ დიდი მითქმა-მოთქმაა. ამბობენ, სიების გამო ოპოზიციური პარტიები ვერ თანხმდებიან, ეროვნულ საბჭოში ამის ნიადაგზე განხეთქილებაა, რასაც ნაციონალები თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ და პარლამენტში ისინი კვლავ უმრავლესობით მოვლენო



◎ ინფორმაცია

## აფხაზებისთვის სულ ერთია, რას აპროტესტებენ ქართველები

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენელი, კრისტიან ბჟანია აფხაზეთის მოსახლეობის პასპორტიზაციის თაობაზე საქართველოს ხელისუფლების პროტესტს ეხმაურება და აცხადებს, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობა ქართული მხარის შეფასებებს მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ჩვენთვის სულ ერითა რას ფიქრობენ აფხაზეთის მოსახლეობის პასპორტიზაციის თაობაზე იაკობაშვილი, მალაშხია და ნებისმიერი პირი საქართველოს ხელისუფლებიდან, – განაცხადა ბჟანიამ.

მისივე თქმით, აფხაზეთის ხელისუფლება დამოუკიდებელი აფხაზეთის სახელმწიფო კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებს და მნიშვნელობა არ აქვს, როგორ აფასებენ ამ ქმედებებს საქართველოში.

შეუძლიათ თქვან ყველაფერი, რაც სურთ, წერონ და იჩივლონ თუნდაც ზეციურ კანცელარიაში, მაგრამ პასპორტიზაციის პროცესი რეალობაა, რომლის ჩაშლაც შეუძლებელია. პასპორტი ყველა მოქალაქემ უნდა მიიღოს, – განაცხადა ბჟანიამ.

ჯი-ეიჩ-ენი

## ცხინვალის დელეგაცია კოსოვოდან დაბრუნდა

ცხინვალში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები კოსოვოში იმყოფებოდნენ.

როგორც ინტერნეტსაიტი „ოსრადიო“ იუწყება, ცხინვალელები კოსოვოს ქართველ კოლეგებთან ერთად ეწვივნენ.

სამხრეთოსური მხარის დელეგაცია კოსოვოში პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციების, ახალგაზრდობისა და საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენლებს შეხვდა.

კოსოვოს აღიარება ნებისმიერ შემთხვევაში პრეცედენტი გახდება, მით უფრო, თუ პრიშტინას დამოუკიდებლობის აღიარება ბელგრადის პოზიციის მიუხედავად მოხდება, – განაცხადა დელეგაციის წევრმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ასეკრის“ დირექტორმა დინა ალბოროვამ.

კოსოვოში ვიზიტის ორგანიზატორი ჰოლანდიური არასამათავრობო ორგანიზაცია იყო.

## კოკოითი რუსეთის არჩევნების იმედზეა

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა დე ფაქტო მინისტრებსა და უწყებებს რუსეთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარება დაავალა.

როგორც ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის ე. წ. სახელმწიფო კომიტეტი იუწყება, კოკოითმა ამის შესახებ „მთავრობის“ სხდომაზე განაცხადა.

ჩვენთვის ეს არჩევნები მნიშვნელოვანია. საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიცია არა ერთხელ დავაფიქსირეთ – 2003 წლის საპრეზიდენტო და 2007 წლის დუმის არჩევნებზე. ყოველთვის გვახსოვს, რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები ვართ. არჩევნები ახლაც მაღალ დონეზე უნდა ჩატარდეს. არჩევანის დაფიქსირების საშუალება რუსეთის ფედერაციის ყველა მოქალაქეს უნდა ჰ ქონდეს, – განაცხადა კოკოითმა.

ინტერპრესნიუსი

◎ განსჯა

# ნდობის ფაქტორი

(მეორე გვერდიდან)

და ასევე აჩვენეს თბილ კაბინეტში გამოჭიმული (მხოლოდ პერანგი და თხელი პულოვერი ეცვა. აშკარად არ სციოდაძ, „გაუთოებულსახიანი“ ჩინოვნიკი, ვინმე სესიკაშვილი, რომელმაც ურცხვად განაცხადა: „კომპიუტერმა ასე დათვალა და ამიტომ არ ეკუთვნისო“ (წესით ის კომპიუტერი თავზე უნდა დაამტვრიო იმ სესიკაშვილს და პირველ რიგში იმას, ვინც მაგას ხალხის ბედი ჩააბარა, მაგრამ ვინ არის პატრონი. არადა, როგორც მახსოვს, ერთ-ერთი პრეზიდენტობის კანდიდატი ერთ-ერთ რეკლამაში ტიროდაძ.

ვინმე ცინიკოსი იტყვის: რომ „თუ ბატონი ლადო ულარიბესი ფენის მდგომარეობის გაუმჯობესებაში მათი რაოდენობის ასეთი მეთოდით შემცირებას გულისხმობს, კარგად ყოფილა ჩვენი საქმეო“.

ჩვენ ვერ გენდობით, ბატონო პრემიერ-მინისტრო. ვერ გენდობით, რადგან ძალიან ბევრი სესიკაშვილი გყავთ გარშემო და ხალხს სესიკაშვილის კომპიუტერზე მეტად, საკუთარი თვალების უფრო სჯერა (ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა: თუ გვინდა გავზარდოთ ერთ სულ მოსახლეზე რძის პროდუქტების წარმოება, ორი ვარიანტია: ან უნდა გავზარდოთ ძროხების რაოდენობა, ან უნდა შევამციროთ მოსახლეობაძ.

ოპოზიცია და ხელისუფლება ოპოზიციის მემორანდუმის ყველა საკითხზე შეთანხმდნენ და ახლა მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება რჩება.

შესანიშნავია!

მაგრამ რა ვუყოთ იმ საკითხებს, რომლებიც პარლამენტის საკანონმდებლო გადაწყვეტილებებს არ საჭიროებს? ასეთი საკითხი სულ სამია. მხოლოდ სამი: პოლიტპატიმრების განთავისუფლება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განთავისუფლება და საზოგადოებრივი მაუწყებლის „განთავისუფლება“ „თავისუფლების ინსტიტუტისგან“.

თუ ვინმე იკითხავს: რა ამბავია ამდენი „თავისუფლებაო“? – ვუპასუხებ: მაშინ რა ამბავია ამდენი სესიკაშვილი?

პრინციპში თარხნიშვილის კომპიუტერი ბევრი არაფრით განსხვავდება ზემოთ ნახსენები კომპიუტერისაგან.

არადა რა უნდა ხალხის ნდობის მოსაპოვებლად რეალური ნაბიჯის გადადგმას?

სწორედ ამიტომაა, რომ ოპოზიცია იმ ხალხის ხელმოწერებს აგროვებს მეტროს სადგურებთან, ვისაც არ აურჩევია სესიკაშვილი, უკაცრავად – საააკაშვილი.

ჰოდა, თუ ამ სამი მარტივი საკითხის გადაჭრა ჭიანურდება, სად არის გარანტია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები არ გაიწელება? არადა, რა უნდა კანონის მიღების გაჭიანურებას? ან მძიმე არ მოეწონება ვინმეს, ან წერტილი, ან კიდევ რომელიმე კომპიუტერი „იტყვის“ – არაო.

ყველაზე საინტერესო იქნება ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ცვლილებების პროექტი.

ძალიან არ მინდა ვიფიქრო, რომ მათ მიერ შემოთავაზებული ცვლილებები იმაზე უარესი იქნება, რაც აქამდე იყო, მაგრამ თუ ახალი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას გადავხედავთ, ცოტა „შიში“ მიპყრობს.

ამიტომ ვერ გენდობით „პაიცემულო“.

„უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსებს კი არ ვყიდით, ვარემონტებთო“, რიხით განაცხადა უნივერსიტეტის „არჩეულმა“ რექტორმა გია ხუბუამ (ისე რა უცნაურად არჩეული ხალხი გვყავს საქართველოში)ძ.

არადა, როგორი დასაჯერებელია, როცა ზუსტად ასეთი რიხით ლაპარაკობდა აწ უკვე ყოფილი მინისტრი გოკა გაბაშვილი სპორტის აკადემიისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ინტეგრაციის სიკეთეზე. იძლეოდა დაპირებებს, რომ ეს რეფორმა-ინტეგრაცია სიკეთეს მოუტანდა არა მხოლოდ სპორტის აკადემიას, არამედ მთელ ქართულ სპორტს. ისეთი დარწმუნებით საუბრობდა ევროდონეზე მოწყობილ აუდიტორიებზე, სასწავლო-სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიებსა და სპორტულ ბაზებზე, როგორც კინოფილმში „პირველი მერცხალი“ დოდო აბაშიძის გმირი იასონ კვირკველია გუნდის საკუთარ გემზე.

როგორც გახსოვთ, „პირველი მერცხალის“ გუნდის წევრები თურქებმა მოატყუეს, ქართველი სპორტსმენები – კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა, რაღაც მედიასაბჭოს წევრ გიგი თევზაძესთან ერთად (თურმე ბატონი გიგი ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორიც ყოფილა (რამხელა დაცინვაა).

სპორტულმა აკადემიამ რეფორმა-ინტეგრაციის შემდეგ, დაპირებული „ევროდონის“ ბაზების ნაცვლად ყოვლად გაუგებარი „სპორტული ცენტრის“ სტატუსი მიიღო.

საქართველოს ფეხბურთის ნაკრებმა კი საკუთარ მოედანზე 3:1 წააგო.

საქართველოს მოსახლეობამ ნათლად დაანახა ყველას, რომ მორჩილად აღარ დაელოდება მომავალ არჩევნებს.

პროტესტს კი სხვადასხვა ფორმა აქვს, რომლებსაც სხვადასხვა შედეგები მოჰყვება.

**გია გაბრიჭიძე**

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

# საარჩევნო სიებს ასაიდუმლოებენ

**საპარლამენტო არჩევნების წინ დიდი მითქმა-მოთქმაა. ამბობენ, სიების გამო ოპოზიციური პარტიები ვერ თანხმდებიან, ეროვნულ საბჭოში ამის ნიადაგზე განხეთქილებაა, რასაც ნაციონალები თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ და პარლამენტში ისინი კვლავ უმრავლესობით მოვლენო. ოპოზიცია კი ამტკიცებს, რომ ჯერ სიები არ არსებობს, მისი საბოლოო ჩამოყალიბება საარჩევნო კანონში ცვლილებებზეა დამოკიდებულიო.**

იმასაც ამბობენ, რომ ეროვნული საბჭოს დაშლის შემდეგ არჩევნებში რესპუბლიკელები და „წინ საქართველოს“ წევრები ერთ ბლოკად გაერთიანდებიან, კონსერვატორები და მოძრაობა „თავისუფლება“ კი ერთად იბრძოლებენ ადგილების მოსაპოვებლად. ხოლო საბჭოს გარეთ მყოფი პარტიების მემარჯვენეების და მრეწველების გვერდით შესაძლოა ეროვნულ დემოკრატები ვიხილოთო, რასაც ამ დღეებში ედეპეს ცენტრალურ ოფისში მემარჯვენეების სტუმრობაც ადასტურებს, თუმცა ისინი სიებზე საუბარს კატეგორიულად უარყოფენ და ამტკიცებენ, ვიზიტი მემორანდუმთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდაო. ეს კი ნაკლებ დამაჯერებლად გამოიყურება, რადგან ეროვნულ-დემოკრატებს მემორანდუმზე არც ხელი მოუწერიათ და არც მოლაპარაკებებში მონაწილეობენ.

**მამუკა კაციტაძე** – ახალი მემარჯვენეები: – გარკვეული მიზეზების გამო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მემორანდუმთან დაკავშირებით მოლაპარაკებებში არ მონაწილეობს, რადგან ამ პარტიასთან პარტნიორული ურთიერთობა გვაქვს, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია მიგვეწოდებინა და მათი მოსაზრებებიც მოგვესმინა. რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებში ერთიან პარტიულ სიებს, დღის წესრიგში არ დგას, რადგან ჯერ მნიშვნელოვანი ხელისუფლების მხრიდან მემორანდუმის შესრულებაა. საარჩევნო სიებში ჩვენთან ერთად იქნებიან თუ არა ეროვნულ-დემოკრატები ვერაფერს გეტყვით, თუმცა გამორიცხული არაფერია.

რაც შეეხება იმას, მემორანდუმის რომელიმე პუნქტს ხომ არ დავთმობთ, ამაზე ხელისუფლებასთან არ ვვაჭრობთ, ვფიქრობ სააკაშვილს სხვა გზა არ აქვს და ჩვენს ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქუჩიდან დაველაპარაკებით, მას კი აღმოჩნდა რომ, იქიდან უკეთ ესმის, თუმცა ვურჩევთ ჩვენი ნათქვამი დარბაზიდან გაიგოს...“ – აღნიშნა მამუკა კაციტაძემ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის ბაჩუკი ქარდავას განმარტებით, – ისინი არც ეროვნული საბჭოს წევრები არიან და არც მემორანდუმზე მოუწერიათ ხელი, მაგრამ, როგორც ყველა ოპოზიციური პარტიისთვის, მათთვისაც უმნიშვნელოვანესი საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაა. ეს უბრალოდ პოლიტიკური ორგანიზაციების სურვილი კი არა, საზოგადოების, ქართველი ხალხის მოთხოვნაა.

მისი აზრით ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკება ქვეყნის დემოკრატიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, მნიშვნელოვანია საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციების მონიტორინგი, 7 ნოემბრის აქციის დროს დაკავებული პირების საკითხი და საზოგადოებრივი ტელევიზიის მონიტორინგი.

– ჩვენთვის ჯერ მთავარია გაირკვეს, ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება თუ არა. მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობაზე გადაწყვეტილებას, ხოლო საპარლამენტო-საარჩევნო სიებში, მათთან ერთად ვიქნებით, რომელთა პოლიტიკური მოსაზრებებიც ჩვენსას დაემთხვევა. კოალიციის შექმნისას კი მთავარი იდეოლოგიური და მსოფლმხედველობითი თანხვედრაა. – დასძინა ბაჩუკი ქარდავამ.

ასეა, თუ ისე, საარჩევნო სიებს პოზიციაც და ოპოზიციაც საგანგებოდ ასაიდუმლოებენ, კარტების გახსნამდე კი ისლა დაგვრჩენია, ინტუიციას მივენდოთ.

**ლელა მანაველიშვილი**



№ 24. პარასკევი, 8 თებერვალი, 2008 წელი.

**ხალხის ინტელექტუალური დონე განუხრელად ეცემა და როცა ახლო მომავალში არც ნორმალური ექიმი გვეყოლება, არც მასწავლებელი და არც ინჟინერი, დაგვიანებული იქნება დამნაშავის ძიება. გაფუჭებულ საქმეს აღარაფერი ეშველება და მომავალი თაობების წყევლა არ აგვცდება**



## განწირული რეფორმები

# დავუბრუნოთ სკოლა შვილებს!

ჯანმრთელობის დაცვაში გატარებულმა რეფორმებმა ავადმყოფობა აგვიკრძალა. განათლების რეფორმამ კი ახალგაზრდებს მაღალი დონის ცოდნის მიღების საშუალოება მოუსპო. ეს ყველაფერი სწორედ განათლების იმ რეფორმის შედეგია, რომელიც პრეზიდენტსაც მოსწონს და პარლამენტართა უმრავლესობასაც.

მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ ეს რეფორმა ახალგაზრდების უმრავლესობასაც მოსწონს!

ცხადია, განათლების სისტემის რეფორმის გზაზე შეცდომების თავიდან აცილება ძნელია, მაგრამ როდესაც ამ შეცდომებმა საერთოდ მაღალი დონის განათლება მოსპო, უნივერსიტეტები გაანადგურა და სკოლები თავისი დონით „დაწყებითი განათლების სასწავლებლებად“ გადააკეთა, ასეთი შეცდომა უკვე დანაშაულია ღვთისა და ერის წინაშე.

ჩვენმა რეფორმატორებმა განათლების სისტემაში ევროპული და ამერიკული კანონები დანერგეს, მაგრამ ვერ გაუგიათ, რომ ზოგი კანონი, რომელიც სავსებით ეფექტიანი და მისაღებია ამერიკული ან გერმანული საზოგადოებისთვის, ქართული საზოგადოებისთვის არ გამოდგება. ეს, უპირველეს ყოვლისა, განათლების კანონს ეხება, რადგან შვილის განათლებისადმი ის დამოკიდებულება, რაც საქართველოშია, სრულიად უცხოა ამერიკული ან გერმანული საზოგადოებისთვის. სხვაგან ვერ ნახავთ, რომ მშობელი შვილს „შპარგალკას“ უწერდეს და ასე თავგამოდებით ეძებდეს „პროტექტორებს“ უმაღლესში შვილის „მოსაწყობად“. „დახმარებების“ ძიებაში არც უზნეობას კადრულობენ და კორუფციულ გარიგებებში შედიან. მართლაც, უცხოელისთვის გასაოცარია, თუ რატომ უნდა იხადოს მშობელმა ფული შვილის უსწავლელობისთვის? ჩვენთან კი იდიოტი მშობელი სიამოვნებით იხდის ფულს, რათა მისმა უცოდინარმა შვილმა ცოდნის ნაცვლად, სრულიად დაუმსახურებლად ატესტატები და დიპლომები მიიღოს.

მაგალითი უამრავია. მახსოვს, შვილისთვის მისაღებ გამოცდებზე პრივილეგიის მისაღწევად ერთმა ქალბატონმა ოფიციალურად უარყო დედობა და შვილი უპატრონო ბავშვთა სახლში გაამწესა. საშინელებაა, როცა ამას ქართველი დედა ჩადის, მით უმეტეს, როცა ეს ქალბატონი განათლების სფეროს მუშაკია, მაგრამ, განა არ ვიცით, თუ რამდენი მშობელი დაეძებს მექრთამეს ეროვნული მისაღები გამოცდების დროს?

შეგვიძლია კი შევედაროთ ამერიკელს თუ გერმანელს?

ამ ოციოდე წლის წინათ თბილისის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად ჩემი მეგობარი ამერიკელი ფიზიკოსი მოვიწვიე. ის ცოლთან ერთად ჩამოვიდა. სექტემბერი იყო და ვიკითხე, თუ რას აკეთებდა ლოს ანჟელესში მარტო დარჩენილი მათი ვაჟი. მიპასუხეს, რომ ის საშინელ დღეშია, რადგან ჰარვარდის უნივერსიტეტში სურს სწავლის გაგრძელება, მიიღო ტესტები და ერთი თვის განმავლობაში ასი ამოცანა უნდა ამოხსნას ფიზიკასა და მათემატიკაში. შემდგომ გაირკვა, რომ მას ქულები არ ეყო და ჰარვარდის უნივერსიტეტმა უარი შემოუთვალა, მაგრამ იმ ტესტის შედეგები საკმარისი აღმოჩნდა კალიფორნიის უნივერსიტეტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რომელი ქართველი მშობელი არ ჩათვლის გიჟად იმ ამერიკელ პროფესორს, რომელმაც შვილი სწორედ „ყველაზე დიდი გაჭირვების“ ჟამს მიატოვა და თვითონ სამოგზაუროდ წავიდა?

მაგრამ ეს სავსებით მისაღებია იმ ქვეყნებში, სადაც მისაღები გამოცდების მიზანია ახალგაზრდას და მის მშობელს ტესტირების გზით უჩვენოს, თუ რამდენად შესძლებს ახალგაზრდა ამ უმაღლეს სასწავლებელში სწავლას მისი მონაცემების მიხედვით.

ჩვენ კი სულ სხვანი ვართ და მხოლოდ ნიშნებისა და ატესტატებისათვის ვიბრძვით, ცხადია, ამერიკული წესების აქ, ასე პირდაპირ გადმოტანა, როდესაც აბიტურიენტი სახლში ტესტების პასუხს ამზადებს, სრულიად უაზროა. ჩვენ მხოლოდ ჩვენი ხალხის ბუნებიდან გამომდინარე განათლების სისტემა გვჭირდება.

დღეს სახელმწიფო უმაღლესი და საშუალო სკოლების „ფასიანად“ გარდაქმნის ფართომასშტაბიანი სამუშაოებია გახსნილი. განათლების სამინისტრომ უკვე განაცხადა, რომ ის სასწავლებლებს კი არა, სტუდენტებს და მოსწავლეებს აფინანსებს „ვაუჩერებით“. სასწავლებლები სწორედ ამ სტუდენტების ძებნაშია და სულაც არ ადარდებთ, თუ რა დონის „სპეციალისტებს“ მოუმზადებს ქვეყანას, როგორ განადგურდება სკოლა და რამდენად დაეცემა ხალხის ინტელექტუალური დონე.

ხალხის ინტელექტუალური დონე განუხრელად ეცემა და როცა ახლო მომავალში არც ნორმალური ექიმი გვეყოლება, არც მასწავლებელი და არც ინჟინერი, დაგვიანებული იქნება დამნაშავის ძიება. გაფუჭებულ საქმეს აღარაფერი ეშველება და მომავალი თაობების წყევლა არ აგვცდება.

ის, რომ საქმოსნებმა განათლების კერძო სექტორი დაისაკუთრეს, არაა გასაკვირი, მაგრამ ახლა სახელმწიფო დაწესებულებების ხელში ჩაგდება განიზრახეს. სახელმწიფო კი ამას თურმე სიამოვნებით აკეთებს, რადგან მასწავლებლების შემცირებაა განზრახული. ამიტომაც, სახელმწიფო სკოლების შემცირება დიდად აქტუალურია მიუხედავად იმისა, რომ 9 კლასამდე სავალდებულო განათლება კონსტიტუციის თანახმად სახელმწიფომ დაივალა.

მართლაც, საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 35-ის თანახმად, „სკოლამდელ აღზრდას უზრუნველყოფს სახელმწიფო. დაწყებითი განათლება სავალდებულოა. სახელმწიფო თავის ხარჯზე უზრუნველყოფს საბაზო განათლებას. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება“.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად დაუშვებელია საბაზო განათლების (მეცხრე კლასამდე) ნებისმიერ საფეხურზე რაიმე გადასახადის დაწესება სახელმწიფო სკოლაში. თუმცა, მოიფიქრეს, რომ მშობელს ფულს სასწავლო პროგრამის ზევით სწავლებისთვისახდევინებენ. სასწავლო გეგმა კი იმდენად უბადრუკია, რომ მხოლოდ გონებაჩლუნგი ბავშვებისთვისაა განკუთვნილი.

ამრიგად, სახელმწიფო ვალდებულია მთლიანად უზრუნველყოს უფასო საბაზო განათლება, მაგრამ „ნოვატორი დირექტორები“ ყველა თავის მოსწავლეს დამატებითი თანხის გადახდას სთხოვს.

სკოლა რომ საშინელ ფინანსურ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, დიდი მიხვედრა არ სჭირდება. მოსწავლეზე ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი თანხა შეიძლება მხოლოდ დაწყებით განათლებას გასწვდეს, ისიც დიდი გაჭირვებით. მაღალი კლასები კი სახელმწიფოს მხრიდან პრაქტიკულად დაუფინანსებელი რჩება და მათი დაფინანსება ისევ გაჭირვებულ მოსახლეობაზე გადადის. გაჭირვებულის, რადგან ვინც ფული იშოვნა, თავისი პირმშო ან საზღვარგარეთ გაამწესა, ან კომერციულ სასწავლებლებს მიაბარა.

საქართველოში, უბადრუკი უმაღლესი სასწავლებლების გამო ჩქარა სკოლის მასწავლებლების პრობლემა დადგება. რა ფენომენი უნდა იყოს მასწავლებელი, რომლისგანაც მოითხოვენ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებას იმ უბადრუკი სახელმძღვანელოებებით, რომლებიც „პილოტური“ გახადეს? ასეთ რამდენიმე სახელმძღვანელოს გავეცანი და ისინი დონით მხოლოდ გონებრივად სუსტად განვითარებული ბავშვებისთვისაა დაწერილი.

როდესაც ორი წლის წინათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფიზიკის სპეციალობის პირველკურსელების გამოცდა ჩავიბარე, აღმოჩნდა, რომ სტუდენტთა 70 პროცენტზე მეტის ცოდნის დონე ადრინდელი მეშვიდეკლასელის ცოდნის დონეს არ აღემატებოდა. ამიტომაც უარი ვთქვი პროფესორის კონკურსზე, რადგან უნივერსიტეტი აღარ არსებობდა არც სტუდენტთა და არც სასწავლო პროგრამების დონის მიხედვით. გადავწყვიტე, საჯარო სკოლაში მასწავლებლად დამეწყო მუშაობა, რათა იქ მენახა, თუ რამდენად სერიოზულია განათლების ჩავარდნა. ვასწავლიდი მერვე, მეცხრე და მეათე კლასის მოსწავლეებს მთელი ერთი სასწავლო წლის განმავლობაში და შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ განათლების კატასტროფის შედეგად სასწავლო პროცესი, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველების და მათემატიკის დარგში, სრულიად განადგურებულია. მის აღდგენას მრავალი წლის თავდაუზოგავი შრომა სჭირდება, რაც დღევანდელ პირობებში გამორიცხულია.

გასაოცარია, მაგრამ სკოლა საერთოდ აბუჩად აიგდეს. პირველი სექტემბერი, რომელიც ადრე „ცოდნის დღედ“ იყო გამოცხადებული, საერთოდ დაივიწყეს და ვინ როდის იწყებს სწავლას და როდის ამთავრებს, არავის აინტერესებს. ძველი მეოთხედებიც გაუქმდა და მის ნაცვლად ვიღაც „ჭკვიანმა“ „ტრიმესტრები“ მოიგონა. საიდან მოიტანეს ეს სიტყვა და რატომ? „ტრი“ თუ სამს ნიშნავს, „მესტრი“ ვითომ „სემესტრის“ მსგავსია? ეტყობა ესეც „რეფორმის“ ნაწილია.

მასწავლებელთა მათხოვრული ხელფასებით შექმნილ პრობლემებს დღეს მასწავლებელთა შემცირება დაემატა, რაც გეგმაზომიერად მიმდინარეობს. ამ შემცირებისთვის კი ორი მნიშვნელოვანი ბერკეტია: პირველი ის, რომ მასწავლებელთა დატვირთვა მკვეთრად გაიზარდა, მეორე – მეათეკლასელთა კონტინგენტის განადგურებას და ფაქტობრივად საშუალო სკოლების 9-წლიან სკოლებად გადაკეთებას გულისხმობს.

აქ კიდევ ერთი, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით. სად წავა სკოლიდან გაგდებული უფროსკლასელი? ზოგმა შეიძლება კომერციულ სასწავლებელს შეაფაროს თავი და ფორმალური ატესტატი მიიღოს, მაგრამ არსებული სიდუხჭირის პირობებში საკმაოდ დიდი ნაწილი კრიმინალურ სამყაროში აღმოჩნდება. ამ ახალი კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლა კი სახელმწიფოს უფრო ძვირი დაუჯდება, ვიდრე საშუალო სკოლების შენახვისთვის იყო საჭირო და მოგვიწევს ახალი ციხეების აშენება სკოლების ნაცვლად ან სკოლების ციხეებად გადაკეთება.

მახსენდება ერთი საინტერესო ინფორმაცია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა იაპონია მიწასთან იყო გასწორებული, იაპონიის ხელისუფლებამ ქვეყნის აღორძინება განათლებაზე ზრუნვით დაიწყო და პირველ წლებში მისი დაფინანსება ბიუჯეტის 60 პროცენტით განსაზღვრა. საქართველოში განათლების დღევანდელი დაფინანსება პროცენტის მეათედსაც კი ვერ აღწევს და თუ იაპონელების დღევანდელი წარმატება ყველასთვის ნათელია, ასევე ნათელი უნდა იყოს ჩვენი წარუმატებლობა.

სახელმწიფო სკოლის „შეჯვარება“ კერძო „ფასიან“ სკოლასთან არ გამოვა. ჩვენ შვილებსა და შვილიშვილებს ნორმალური საშუალო სკოლა უნდა დავუბრუნოთ იმ სუროგატი „საჯარო სკოლების“ ნაცვლად, რომლებიც ამერიკული „პაბლიკ სკულების“ ანალოგიაა და იქ, ამერიკაში, გონებრივად სუსტი ლათინოსებისა და ზანგებისთვისაა გახსნილი. სახელმწიფო სკოლას ცხადია დახმარება, სასწრაფოდ შველა სჭირდება, დაგვიანება დაღუპვის ტოლფასია. ჩვენ ჩვენი, ქართული სკოლები უნდა შევქმნათ ჩვენი, დახვეწილი და ჭკვიანური სასწავლო პროგრამებით. ჩვენს ინტელიგენციას ამისი ძალა ჯერ კიდევ შესწევს, მაგრამ თუ დავაგვიანეთ, რამდენიმე წელიწადში ეს შეუძლებელი გახდება. სამინისტროს ხელმძღვანელობის შეცვლა კი არა, მისი მთლიანი რეორგანიზაცია უნდა მოხდეს. მინისტრების შეცვლა არაფერს მოგვცემს, თუ განათლებისადმი სახელმწიფოს მიდგომა მკვეთრად არ შეიცვალა. ეს კი ამ ხელისუფლებას არ შეუძლია. ქვეყნის გადარჩენა დაბალი ხარისხის გზების დაგებით და უგემოვნო შადრევნებით კი არა, განათლების ხარისხის მკვეთრი ამაღლებითაა შესაძლებელი. ამისთვის მთელმა საზოგადოებამ ხელი უნდა გამოიღოს, მაგრამ რის იმედად უნდა ვიყოთ, როცა სარაჯიშვილები ბუზუტეიშვილებმა შეცვალეს, ხელისუფლება კი გაუნათლებელ ადამიანებს ერგოთ?

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ნოდია იქნება, ბოკერია თუ ვინმე სხვა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ არ შეიცვალა უვარგისი, ანტიეროვნული და ანტიკონსტიტუციური განათლების კანონი. იმის გათვალისწინებით, თუ დღეს ვინ არის ხელისუფლებაში, ჭკვიანი ადამიანი განათლებისა და მეცნიერების მინისტრობაზე უარს იტყოდა. რადგან ნოდია დათანხმდა, სავარაუდოა, რომ განათლების რეფორმის გამზიარებელია და არანაირ ცვლილებას კარგისკენ არ უნდა ველოდოთ. ყველა რეფორმა – ჯანდაცვის, ეკონომიკის, სასამართლოს თუ განათლების, რაც კი ჩატარდა, ყველა დამანგრეველი იყო. ერთადერთი, რისი იმედიც შეიძლება გვქონდეს, შეიძლება წესიერი საპარლამენტო არჩევნები და ხალხის ნება გახდეს.

სკოლას უჭირს, ის შველას ითხოვს, დახმარებას ელის, რომელიც არსაიდან ჩანს. დავუბრუნოთ ჩვენს შვილებს სკოლა, მივცეთ მათ სათანადო განათლება, თორემ საქართველო განწირულია.

**მერაბ ჯიბლაძე,**
**„ქართული აკადემია“**

SIC!

2004-2007 წლებში დედაქალაქის ავტომაგისტრალებზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა შემსრულებლებს უცხო ქვეყნის იურიდიული პირები წარმოადგენდნენ, ხასიათდება უხარისხობის აშკარა ნიშნით, რომლის დანახვა ყოველ ჩვენთაგანს შეუძლია




## ჟურნალისტური გამოძიება

# სიღარიბის დაძლევა ნაციონალურად!

*მიხეილ სააკაშვილის და მისი თანაგუნდელების შეფასებით, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები სამაგალითო ვითარებაში, ექსცესების გარეშე გაიმართა.*

*2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს სწორედ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მოსახლეობას ქვეყნის გამთლიანებას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესობას და ქვეყანაში სამართლიანობის, თანასწორუფლებიანობის დამკვიდრებას ჰპირდებოდა.*

*მოხდა კი საპირისპირო — ხელისუფლებაში მოკალათებული „ნაციონალების“ გამდიდრება, უმუშევართა არმიის ზრდა სასამართლო ხელისუფლების კრახი, სიღარიბის მატება და ა.შ.*

*ჩვენი სააგენტოს საგაზეთო პუბლიკაციების მიხედვით, რომლებიც ეყრდნობა დოკუმენტური ხასიათის მასალებს, 2004-2007 წლებში სწორედ „ნაციონალთა“ უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება!*

*აღსანიშნავია, რომ 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილს საკუთარ დაპირებებში არც ერთხელ არ უხსენებია, ის რომ სწორედ მის გუნდს უნდა დაეძლია სიღარიბე.*

*ამჟამინდელ საპრეზიდენტო ბატალიებში მიხეილ სააკაშვილმა სატელევიზიო სარეკლამო კლიპებში ქვეყნის მოსახლეობას ოფიციალურად გამოუცხადა, რომ მის გუნდს 2004-2007 წ.წ. არ ეცალა სიღარიბის დასაძლევად, რადგან ხელისუფლება ავტოგზების მშენებლობით და უმუქობის პრობლემის გადაწყვეტით იყო დაკავებული. 2008-2012 წლებში დღენიადაგ ვიზრუნებთ მთავარი სლოგანის — საქართველო სიღარიბის გარეშე! შესასრულებლად.*

*მიხეილ სააკაშვილის ამგვარი დაპირებების საწინააღმდეგოდ გაცნობებთ ნაციონალთა უკვე გარდახდილი სიყალბეების შესახებ.*

### საავტომობილო გზების მშენებლობა

2004-2007 წლებში დედაქალაქის ავტომაგისტრალებზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა შემსრულებლებს უცხო ქვეყნის იურიდიული პირები წარმოადგენდნენ, ხასიათდება უხარისხობის აშკარა ნიშნით, რომლის დანახვა ყოველ ჩვენთაგანს შეუძლია.

ეს კი პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ხსენებულ ავტოგზებზე დახარჯული სარეაბილიტაციო თანხები არამიზნობრივად იყო გამოყენებული, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, ამ ფაქტის აღიარება ნაციონალთა ხელისუფლებას არ სურს.

ყველასათვის ცნობილია, რომ 2007 წელს ხელისუფლებამ ქ.თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის საქმიანობის შემოწმების აქტი, შედგენილი კონტროლის პალატის მიერ, გაასაიდუმლა და ეს იმიტომ, რომ ამ აქტში მოყვანილი ფაქტები პირდაპირ მიანიშნებდნენ ამ სამსახურის მნიშვნელოვან დარღვევებზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის თაობაზე.

დღემდე ეს საკითხი საგულდაგულოდ მიჩქმალულია. რაც შეეხება ხსენებული სამსახურის უფროსის კობა სუბელიანის პასუხისმგებლობის საკითხს, იმის სანაცვლოდ, რომ მას პასუხი ეგო ნამოქმედარზე, პრეზიდენტის ინიციატივით დაინიშნა ერთ-ერთი სამინისტროს პირველ პირად!

რა ამოძრავებდა მ. სააკაშვილს, როცა კ.სუბელიანი დააწინაურა?

აშკარაა, რომ კ. სუბელიანის პასუხისმგებლობა, ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ავტომატურად გამოიწვევდა ქ. თბილისის მერის გ. უგულავას პასუხისმგებლობას, რის გამოც დაისჯებოდა როგორც დედაქალაქის, ისე ქვეყნის ხელისუფლებაში მყოფი თანამდებობის პირები.

ყოველივე ეს გამოიწვევდა „ნაციონალების“ აშკარა დისკრედიტაციას მოსახლეობასა და პოლიტიკურ ოპოზიციაში.

იმავე 2007 წელს შსს-მ აღძრა სისხლის სამართლის საქმე მთელ რიგ ადგილობრივ (კერძოდ ავტოგზების სამშენებლო და საპროექტო საწარმოების ხელმძღვანელი პირების მიმართ, რომელთა უშუალო მონაწილეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების (ამ შემთხვევაში მსოფლიო ბანკის კრედიტისძ გამოყენებით საქართველოში 2004-2007 წ. წ. განხორციელდა სახელმწიფო მნიშვნელობის ავტოგზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მათთან ერთად დააპატიმრეს კონტროლის პალატის რამდენიმე თანამშრომელი, რომლებიც იმ დროისათვის სახელმწიფო ავტოგზების დეპარტამენტში შემოწმებას ატარებდნენ.

ამ დროს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს (იმჟამინდელი მინისტრი გ. არველაძეძ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას (რ. დალაქიშვილიძ, ეს არანაირად არ შეხებია. არადა, სწორედ ეს დეპარტამენტი წარმოადგენდა სამუშაოების დამკვეთს.

ყველა ზემოთ ხსენებული საწარმოს ხელმძღვანელი და მათთან ერთად კონტროლის პალატის წარმომადგენლები საპროცესო გარიგების საფუძველზე იძულებული გახდნენ დიდი რაოდენობის თანხა გადაეხადათ. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ მათ მიმართ წამოყენებული ბრალდებები დღემდე არ არის გაბათილებული.

რა ამოძრავებდა შსს-ს ხელმძღვანელობას (მინისტრი ვ.მერაბიშვილიძ, როცა საჭიროდ არ ჩათვალა ბრალი წაეყენებინა ამ სამუშაოების დამკვეთისთვის?

ეს პირდაპირ ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკთა „რეპრესიები“ ელემენტარულ კანონიერებას იყო მოკლებული?

გაოცებას იწვევს ისიც, რომ ამ ფაქტზე რეაგირებას არ ახდენდა გენერალური პროკურატურა. სწორედ მისი კონტროლის ქვეშ იმყოფება შსს-ს გამოძიების სამსახური. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელობამ (იმჟამინდელი გენერალური პროკურორი ზ. ადეიშვილიძ არ ჩათვალა საჭიროდ ობიექტურად შეეფასებინა შექმნილი მდგომარეობა: ან უნდა ელიარებინა აღნიშნული დაპატიმრების კანონიერება და შსს-სთვის დაეკისრებინა მკაცრი მოქმედებების გატარება სახელმწიფო ავტოგზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიმართ, ან შესაბამისად დაეგმო შსს-ს მიერ გატარებული რეპრესიები და აღეძრა სისხლის სამართლის საქმე შსს-ს მთელ რიგ თანამდებობის პირთა მიმართ.

იმის გამო, რომ ეს ყველაფერი გენერალურმა პროკურატურამ არ განახორციელა, სამართლიანი იქნება განვაცხადოთ: გენერალური პროკურატურა შსს-სთან ერთად გახდა თანამონაწილე სისხლის სამართლის დანაშაულისა!

შექმნილი მდგომარეობა მძიმდება იმით, რომ შსს-ს მიერ გატარებული ამგვარი „რეპრესიების“ დაკანონებაში მონაწილეობას იღებდა სასამართლო, როცა საპროცესო გარიგების „ნებართვა“ გასცა.

საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოში არიან აკრედიტებულნი, ხელისუფლებამ პირდაპირ და აშკარად აჩვენა, რომ სამამულო საწარმოებს არ უნდა ანდოს ისეთი სამუშაოების შესრულება, რომელთა დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო კრედიტი აღებული უცხოეთის რომელიმე ბანკისგან.

ამით ხელისუფლებამ ხელი შეუწყო იმას, რომ საქართველოსთვის კრედიტების გაცემის დროს საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტებმა კატეგორიულად მოითხოვონ, რომ მათი სახსრების გამოყენებით ჩატარებული სამუშაოების მთავარი შემსრულებლები მხოლოდ უცხო ქვეყნის ორგანიზაციები იყვნენ, რაც შეეხება სამამულო ორგანიზაციებს, მათ მიეცით უფლება ყოფილიყვნენ მხოლოდ სუბმოიჯარენი! სწორედ ეს წარმოადგენს საქართველოს პირდაპირ დისკრიმინაციას.

### უმუქობასთან ბრძოლა

2006-2007 წ. წ. ხელისუფლებამ, პრაქტიკულად, უფასოდ გაასხვისა ქვეყნის ენერგოსისტემის ძირითადი ნაწილი.

ეს მოხდა მაშინ, როცა საქართველოს ენერგოსისტემის პროდუქცია — ელექტროენერგია ქვეყანაში იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან მიმართებაში დღემდე სარგებლობს ასპროცენტიანი მოთხოვნილებით, ანუ სახელმწიფომ ამით დაკარგა შემოსავლების ერთ-ერთი ძირითადი წყარო და ამავე დროს მართვის უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, რაც სამართლებრივი შეფასებით წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოს წინაშე ჩადენილ უმძიმეს სისხლის სამართლის დანაშაულს — სამშობლოს ღალატს.

ამ ოპერაციის შედეგად ჩვენმა სახელმწიფომ დაკარგა ქვეყნის მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტი. ამგვარად, სამართლიანია, რომ განვაცხადოთ: — მ. სააკაშვილი აგრძელებს ე. შევარდნაძის მიერ დაწყებულ ქვეყნის ენერგეტიკის განიავების პოლიტიკას.

ეს დანაშაული მძიმდება იმით, რომ სწორედ ამ პერიოდში ხელისუფლებამ მნიშვნელოვნად გაზარდა როგორც ელექტრო, აგრეთვე ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფი, რის შედეგად აშკარად დაიცვა ენერგოსისტემაში (გენერაციის და დისტრიბუციის სექტორშიძ მომუშავე ყველა კერძო იურიდიული პირის ფინანსური ინტერესები, რითაც პირდაპირ დარტყმა განახორციელა, როგორც მოსახლეობაზე, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე, რამაც მნიშვნელოვნად გააძვირა საბითუმო და საცალო ფასები.

აი, როგორ ებრძოდნენ და ებრძვიან ქვეყანაში არსებულ უგზოობას და უმუქობას ნაციონალები და მათი თავკაცი მ.სააკაშვილი.

მაგრამ ვინ მოსთხოვს ამგვარ ქმედებაზე მათ პასუხს?

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**ვალერი ლისოჩენკო,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“.

## ინფორმაცია

# ტყემალაძემ „დამკვირვებლის“ სტატუსით ყოფნა არჩია

დეპუტატმა ზურაბ ტყემალაძემ „საფინანსო სექტორში გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით მთავრობასთან „გაფუჭებული ტელეფონის“ თამაშს, სხდომაზე კანონპროექტის განხილვაში „დამკვირვებლის“ სტატუსით ყოფნა არჩია.

ამის შესახებ გადაწყვეტილება ზურაბ ტყემალაძემ გუშინ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე აღნიშნული კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისას, მის მომხსენებელთან გია ხუროშვილთან დაკავშირებით გამართული დებატების შემდეგ მიიღო.



დეპუტატ ზურაბ ტყემალაძისთვის გაუგებარია, რატომ უნდა წარმოადგინოს უმნიშვნელოვანესი კანონპროექტი მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა და არა ეკონომიკური გუნდის რომელიმე წევრმა.

ზურაბ ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად გია ხუროშვილისადმი დიდი პატივისცემისა, მას მიაჩნია, რომ კანონპროექტთან დაკავშირებით ხუროშვილმა უმნიშვნელოვანეს შეკითხვებს პასუხი არ უნდა გასცეს.

გია ხუროშვილი ზურაბ ტყემალაძეს დაპირდა, რომ მის ყველა მოსაზრებას და შეკითხვას აუცილებლად მთავრობაში მიიტანს, რაც ზურაბ ტყემალაძემ გააპროტესტა და განაცხადა, რომ მთავრობასთან „გაფუჭებული ტელეფონობანას“ თამაშს არ აპირებს.

ზურაბ ტყემალაძეს უკვირს, რატომ დადგა ქვეყანაში საქმე ისე, რომ უსერიოზულესი კანონპროექტის გამომტანი მთავრობაში არ არსებობს და იქვე აღნიშნა, რომ გია ხუროშვილი მთავრობის წევრი არ არის.

გია ხუროშვილმა კი ზურაბ ტყემალაძის ემოციები გაზვიადებულად მიიჩნია. ბოლოს, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ საკუთარი პოზიცია დააფიქსირა და აღნიშნა, რომ გია ხუროშვილი კარგად ერკვევა აღნიშნულ კანონპროექტში და ამიტომ პირველ მოსმენაზე ის გამოიტანს.

ეროვნულ ბანკთან მიმართებაში დეპუტატებს აინტერესებთ, კანონპროექტის მიხედვით, პარლამენტი რატომ არ ისმენს და ამტკიცებს ეროვნული ბანკის ანგარიშს და ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას.

ასევე, დეპუტატებს აინტერესებთ, კანონპროექტის მიხედვით, რატომ შედის ეროვნული ბანკის საბჭოში, ბანკის წევრის სტატუსით, უცხო ქვეყნის მოქალაქე და რატომ არ არის განსაზღვრული უცხო ქვეყნის მოქალაქის ექსპერტის სტატუსით მოწვევა. დეპუტატების მოსაზრებით, ინფლაციის კოეფიციენტის გაზრდის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან ერთად მთავრობამაც უნდა გაიზიაროს.

ინტერპრესნიუსი

● მესამეს გამორიცხვის კანონის თანახმად საქართველოს მოქალაქე ან პენსიონერია, ან — არაპენსიონერი. მესამე გამორიცხულია. მაგრამ იმის შემდეგ, რაც მეცნიერებათა აკადემიაში გატარდა რეფორმები, აღნიშნული კანონის უნივერსალობა კითხვის ქვეშ დადგა

SIC!

# ვინ არიან გამწარებული სტიპენდიატები და როგორ იბრძვიან ისინი სიღარიბისგან თავის დასაღწევად

**მესამეს გამორიცხვის კანონის თანახმად საქართველოს მოქალაქე ან პენსიონერია, ან — არაპენსიონერი. მესამე გამორიცხულია. მაგრამ იმის შემდეგ, რაც მეცნიერებათა აკადემიაში გატარდა რეფორმები, აღნიშნული კანონის უნივერსალობა კითხვის ქვეშ დადგა. სახელდობრ, მეცნიერებათა აკადემიის წიაღში წარმოიშვა დასაფინანსებელ ადამიანთა ისეთი კატეგორია, რომლის წევრებზე აღნიშნული კანონი უკვე აღარ ვრცელდებოდა.**

ლაპარაკია სტიპენდიატებზე, რომლებიც მუშაობდნენ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში და დაითხოვეს საპენსიო ასაკის გამო. ახლა, რაშია საქმე? საქმე ის არის, რომ ერთის მხრივ, სტიპენდიანტს არ თვლიან სრულფასოვან პენსიონერად და არც არაპენსიონერად, ეუბნებიან, პენსიონერი ხარო და ახლოს არ აკარებენ, მაგალითად, დასაქმების პროგრამას და სხვა ამგვარ საქმეებს, გათვალისწინებულს არაპენსიონერებისათვის. მაგრამ მაშინ, თუ ეს ბედკრული სტიპენდიატი არც პენსიონერია და არც არაპენსიონერი, გამოდის რომ იგი საერთოდ არც არანაირი მოქალაქეც არ ყოფილა, თორემ ან პენსიონერი, ან არაპენსიონერი ხომ იქნებოდა! ამგვარ გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფმა ზოგიერთმა სტიპენდიატმა გადაწყვიტა ეს თავისი გაურკვეველი სტატუსი გამოეყენებინა და ამღვრეულ წყალში თევზის ჭერისა არ იყოს, შეეცადა თავი გაესაღებინა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანად იმის იმედით, რომ რაიმე სახის დახმარებისათვის გამოკრავდა ხელს. მაგრამ არც ამ შემთხვევაში გაუმართლა სტიპენდიატს და მას გადაჭრით და გარკვევით აუხსნეს, რომ სტიპენდიატის სტატუსი არ ათავისუფლებდა სიღარიბის ზღვარს ქვემო მყოფი ადამიანის სტატუსთან. ასევე იყო მცდელობა ინტელექტუალური ფანტაზიის მქონე ზოგიერთი სტიპენდიატის მხრიდან თავი წარმოეჩინა, მისივე გამოთქმას თუ გამოვიყენებთ, ინტელექტუალურ ინვალიდად, რომელიც ჩამოაშორეს ინტელექტუალურ საქმიანობას ინტელექტუალური უუნარობის გამო. აგრეთვე სტიპენდიატების მხრიდან უფასო სასადილოებში შეღწევის მცდელობები. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მხრივ მყარი და მუდმივი გარანტიები ვერა და ვერ იქნა მიღწეული და ერთი-ორი წარმატებული შეღწევით მთავრდებოდა ყველაფერი.



კიდევ მრავალ და მრავალ ხერხებს მიმართავდნენ სტიპენდიატები სიღარიბისგან თავის დასაღწევად, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქურდობის ფაქტი, თუნდაც წვრილმანი ქურდობის, მსხვილმანზე და კორუფციაზე არ ვლაპარაკობ, ჯერჯერობით მათი მხრიდან არ დაფიქსირებულა სტიპენდიატთა რიგებში, თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა უმნიშვნელო შემთხვევას, რომელზედაც ამჟამად არ გავამახვილებ ყურადღებას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით თავის დროზე, დაახლოებით ორი წლის წინათ, პირადად მე სტიპენდიატების სახელით მივმართე საჯაროდ პრესის მეშვეობით მაშინდელ განათლების და მეცნიერების მინისტრს კ. ლომაიას განცხადებით. სხვათა შორის, მეტი ყურადღების მისაქცევად განცხადება თავიდან ბოლომდე „ქუდიდან" დაწყებული და P. S.-ით დამთავრებული დავწერე რუსთველური მაღალი შაირით. განცხადებაში ჩემი ძირითადი მოთხოვნა (სხვა მოთხოვნებიც იყოძ გამოვხატე შემდეგნაირად: რა იქნება, რომ აღნიშნულ **პაწაწინა სტიპენდიას, ასეთივე პაწაწინა დაემატოს თან პენსიაც?** ე. ი. ბატონ მინისტრს ლექსად ვთხოვდი ერთი პროზაული საქმის მოგვარებას: სტიპენდიატებს მისცემოდათ უფლება სტიპენდიასთან ერთად აეღოთ აგრეთვე კუთვნილი პენსიაც. მაგრამ სტიპენდიატების, ჩემის ჩათვლით, სამწუხაროდ და ცალკე კიდევ ჩემდა გასაკვირად ამ ჩემს პოეტურ აჯას არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია, შედეგზე ლაპარაკს რომ თავი დავანებოთ, არა და დიდი იმედი მქონდა ლომაიასი თუ არა, ნოდარ გრიგალაშვილის მაინც, რომელიც, ჯერ ერთი, პარლამენტის განათლების და მეცნიერების კომიტეტში დიდი ხანია ამზადებდა სწორედ სტიპენდიების და პენსიების ერთად გაცემის პროექტს და ესეც რომ არა, ბატონ ნოდარისგან, როგორც კარგი გემოვნების მქონე ლიტერატორისგან, მოველოდი, რომ ჩემი განცხადების შინაარსობრივ მხარეს თუ არა, გაფორმების მხარეს მაინც მიაქცევდა ყურადღებას, მე ხომ გაფორმებისას საინტერესო და ყურადსაღები დაქტილური რითმები მქონდა გამოყენებული...

ბოლოს, ძალიან არ მინდა მუქარით დავამთავრო ეს ჩემი, არსებითად უწყინარი „ეპისტოლე", მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ თუ ამჯერადაც ხელისუფლებამ არ მოგვაქცია ყურადღება ჩვენ, საპენსიო ასაკის სტიპენდიატებს, გავერთიანდებით და, როგორც ამჟამად არის ოპოზიცია, ჩვენც მათნაირად შევიკვრებით ერთ მუშტად. ხოლო შემდეგ, მართალია, ამ მუშტით არ ვიკადრებთ არავის შანტაჟირებას, მაგრამ ერთ საპროტესტო ლეგალურ მიტინგს დედაქალაქის მერიის თანხმობით და ხელშეწყობით აუცილებლად მოვაწყობთ. მაგრამ მოდით, ბატონო ხელისუფლებავ, ნუ გაგვაკეთებინებთ ჩვენ, გამწარებულ სტიპენდიატებს, ასეთ საქმეს.

**ირაკლი ბუხნიკაშვილი**

ინფორმაცია

## დაიწყო გადამზადების მეორე ეტაპი

ამის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილემ ირაკლი გიორგობიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, პროგრამის მეორე ეტაპი პროგრამაში მონაწილე 110 ათასი ადამიანისთვის 200 ლარის სტიპენდიის გაცემას ითვალისწინებს.

ეს პროცესი სამი დღეა, რაც დაიწყო და „სახალხო ბანკის" ფილიალებში თანხა 25 ათასამდე ადამიანმა მიიღო. პროგრამაში მონაწილე დანარჩენმა პირებმა თანხის ასაღებად აღნიშნულ ბანკს უნდა მიაკითხონ.

გიორგობიანის განცხადებით, აღრიცხვაზე მყოფ პირებს დამატებით 200 ლარის მიღება პროგრამის III ეტაპზე, ერთი თვის შემდეგ შეეძლებათ.

თანხების გაცემა გასული წლის ბოლოს დაიწყო და თითოეულ პირზე 600 ლარი გაიცემა. გასულ წელთან შედარებით, პროგრამის ბიუჯეტი წელს 25 მილიონით გაიზარდა და, მთლიანობაში, 47 მლნ ლარს შეადგენს.

პრესკონფერენციაზე გიორგობიანმა აღნიშნა, რომ სამუშაო ადგილზე პროფესიული გადამზადების პროგრამა მარტში დასრულდება.

ინტერპრესნიუსი

## განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე

სს „უნივერმაღი თბილისის" აქციათა 95 პროცენტზე მეტის მფლობელი შპს „მოვატ საქართველო" აცხადებს, რომ განზრახული აქვს ისარგებლოს აქციათა სავალდებულო მიყიდვის უფლებით და გამოისყიდოს დარჩენილი აქციები სს „უნივერმაღი თბილისის" სხვა აქციონერებისაგან. შპს „მოვატ საქართველო" გამოისყიდის აქციებს სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად განსაზღვრულ სამართლიან ფასად.

**დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ მიმართოთ: შპს „მოვატ საქართველო", საქართველო, თბილისი, თავისუფლების მოედ. №4. ტელ: 986262, ფაქსი: 999982; ელ-ფოსტა: office@willbrook.ge**

## განცხადება
## სააქციო საზოგადოება „კოდა" აქციონერთა მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სს „კოდას" დირექტორი იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2008 წლის 28 თებერვალს, 13:00 საათზე, საქართველოს კულტურის, სპორტის და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის სახლში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №8.**

**დღის წესრიგი:**

**1. სს „კოდას" წლიური ანგარიშის წარმოდგენა და დამტკიცება;**

**2. სს „კოდას" მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;**

**3. სს „კოდას" საწესდებო კაპიტალის შესაძლო შემცირება;**

**4. სხვა მიმდინარე საკითხები.**

დღის წესრიგის საკითხების ირგვლივ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატში.

დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებების მოთხოვნა დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოსაგან როგორც კრებაზე (ზეპირად), ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ იქნა დირექტორატში ან სამეთვალყურეო საბჭოში 2008 წლის 15 თებერვლამდე, მასზე იქნება გაცემული პასუხი ან საკითხი შევა დღის წესრიგის დამატებით პუნქტად.

სს „კოდას" აქციონერთა 2008 წლის 28 თებერვლის საერთო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი „რეგისტრი", 2008 წლის 25 იანვრის (საარიცხვო დღე) 18 საათის მდგომარეობით. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ 2008 წლის 18 თებერვლის 10 საათიდან 27 თებერვლის 18 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 74 ა. სართ. 7, ოთახი: 01-62.

**ქ. თბილისი, 2008 წლის 8 თებერვალი**

## განცხადება

2008 წლის 3 აპრილს 14 საათზე, ქ.ტყიბულში, თაბუკაშვილის ქ.№13-ში შპს „საქნახშირის (ჯი-აი-ჯი ჯგუფიძ" ადმინისტრაციულ შენობაში (მინდელის სახელობის შახტაძ, გაიმართება შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის" ქვანახშირის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, ქ.ტყიბულში ყოფილი ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის ტერიტორიაზე, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი, ახალი გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

● შპს „საქნახშირის (ჯი-აი-ჯი ჯგუფიძ" ადმინტრაციულ შენობაში — ქ.ტყიბულში, თაბუკაშვილის ქ.№13 (მინდელის სახელობის შახტაძ;

● შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის" ადმინისტრაციული შენობაში — ქ.თბილისი, დელისის მესამე შესახვევი №22.

● სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამას" ოფისში — ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ.№9.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2008 წლის 28 მარტის 18 საათამდე.

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის" ადმინისტრაცია.

№ 24. პარასკევი, 8 თებერვალი, 2008 წელი.

# უცხოური პრესა

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე გელა ბეჟუაშვილის ნაცვლად 35 წლის დავით ბაქრაძის დანიშვნამ უკვე გამოიწვია ცვლილებები „დიპლომატიურ ფრონტზე“, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის მიმართულებით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში იქმნება რუსეთის დეპარტამენტი, ხოლო ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის კურირება დაევალა მინისტრის ახალ მოადგილეს – 49 წლის გრიგოლ ვაშაძეს**



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## ტელეელჩები და პოლიგლოტები

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე გელა ბეჟუაშვილის ნაცვლად 35 წლის დავით ბაქრაძის დანიშვნამ უკვე გამოიწვია ცვლილებები „დიპლომატიურ ფრონტზე“, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის მიმართულებით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში იქმნება რუსეთის დეპარტამენტი, ხოლო ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის კურირება დაევალა მინისტრის ახალ მოადგილეს – 49 წლის გრიგოლ ვაშაძეს. რუსეთში ელჩის თანამდებობაზე, ალბათ, წარდგენილი იქნება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ძველი თანამოაზრე, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის და სავაჭრო-სამრეწველო პალატის ყოფილი ხელმძღვანელი 43 წლის ეროსი კიწმარიშვილი.

იანვარში პრეზიდენტის პოსტზე ხელახლა არჩევის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა გამოთქვა სურვილი მოაგვაროს ურთიერთობა რუსეთთან, რომლის მოქმედება, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში, ქართველების უმრავლესობას არ მოსწონს. საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსეთის დეპარტამენტი სააკაშვილის ინიციატივით ხელახლა შეიქმნა. რამდენიმე წლის წინათ ასეთი ქვედანაყოფი არსებობდა, მაგრამ შემდეგ გლობალური ურთიერთობის დეპარტამენტში სამმართველოს დონემდე „დაკნინდა“. როგორც ბაქრაძემ თქვა, სპეციალური დეპარტამენტის შემდეგ რუსეთი მიიღებს „პოლიტიკურ სიგნალს იმის თაობაზე, რომ მზად ვართ ურთიერთობის გაჯანსაღებისთვის“. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში „ვრემია ნოვოსტეის“ წყაროს უჭირს იმის თქმა, თუ ვინ ჩაუდგება დეპარტამენტს სათავეში. მისი თქმით, „სტრუქტურული რეფორმები გრძელდება“. ბეჟუაშვილის ოთხი მოადგილიდან თანამდებობა სამმა დაკარგა. მოადგილის პოსტზე ვაშაძის მიწვევაც ნიშანდობლივად შეიძლება მივიჩნიოთ. ის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, მუშაობდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში, საერთაშორისო ორგანიზაციათა განყოფილებაში. ვაშაძე პოლიგლოტია, იგი ამტკიცებს, რომ რვა ენა იცის. 1987 წლიდან მას ბიზნესი აქვს მოსკოვსა და ნიუ-იორკში. საქართველოში 2005 წელს დაბრუნდა. მისი მეუღლე საქვეყნოდ ცნობილი ბალერინა ნინო ანანიაშვილია.

მოსკოვში ახალი ელჩი კი დიპლომატი არ არის. ეროსი კიწმარიშვილი 90-იანი წლების დამდეგს ტელეკომპანია „რუსთავი-2“ შექმნის სათავეებთან იდგა. 2003 წლის „ვარდების რევოლუციაში“ ტელეკომპანიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, ეწეოდა რა აგიტაციას ედუარდ შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ. რევოლუციის შემდეგ ტელეარხის მრავალი სახე ახალმა ხელმძღვანელებმა სხვადასხვა უწყებაში პრეს-მდივნებად წაიყვანეს. 2004 წელს კიწმარიშვილმა სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტის პოსტი მიიღო. როცა 2004 წლის დამდეგს მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის რანგში პირველად ჩავიდა მოსკოვში, მას კიწმარიშვილიც ახლდა. თვითმხილველები იხსენებენ, რომ სააკაშვილი ხშირად ეკითხებოდა მას რჩევას.

მაგრამ რამდენიმე თვეში კიწმარიშვილს ურთიერთობა გაუფუჭდა რევოლუციის მეორე გმირთან – პრემიერ ზურაბ ჟვანიასთან (2005 წელს დაიღუპა.ძ. მან დატოვა სავაჭრო-სამრეწველო პალატის მეთაურის პოსტი და სამი წლით შეერთებულ შტატებში წავიდა. თბილისში დაბრუნებულმა კიწმარიშვილმა რამდენიმე თვე საზოგადოებრივი ტელევიზიის დირექტორის მრჩევლად იმუშავა. „თუ ისეთი ენერგიული კაცი, როგორიც კიწმარიშვილია, ელჩად დაინიშნება, ეს პერსპექტიული იქნება ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით, რომელზეც ბოლო წლებში რუსეთთან ნორმალურად არ უმუშავიათ, – უთხრა „ვრემია ნოვოსტეის“ ქართველმა პოლიტოლოგმა გიორგი ხუციშვილმა. – მაგრამ ის, რომ დიპლომატიური გამოცდილება არ აქვს, დიდი მინუსია. მას დასჭირდება თანაშემწენი, რომლებმაც კარგად იციან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სპეციფიკა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესება“.

რუსეთთან უფრო მჭიდრო კონტაქტების აუცილებლობის შესახებ განაცხადა აგრეთვე რეინტეგრაციის საკითხთა სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადასაჭრელად იგი აპირებს „ფართო ფრონტად იმუშაოს რუსეთის დიპლომატებთან, დეპუტატებთან, ექსპერტებთან, ინტელიგენციასთან და ბიზნესმენებთან“.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## სოხუმი: საქართველოს ხელისუფლებას „ზეციური კანცელარიაც“ ვერ უშველის

„ჩვენთვის სულ ერთია რას ფიქრობენ აფხაზეთის მოსახლეობის პასპორტიზაციის თაობაზე ბატონები იაკობაშვილი, მალაშხია ან კიდევ ვინმე სხვა საქართველოში“, – განუცხადა სააგენტო „რეგნუმის“ კორესპონდენტს პრეზიდენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში კრისტიან ბჟანიამ, აფხაზეთის მოქალაქეთა პასპორტების გაცემის პროცესის გამო საქართველოს ხელისუფლების უკმაყოფილებას რომ შეეხო. მისი თქმით, აფხაზეთის ხელისუფლება მოქმედებს და გადაწყვეტილებებს იღებს აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუციის ფარგლებში და მნიშვნელობა არ აქვს როგორ ეკიდებიან ამას საქართველოში. „რაც უნდა თქვან, წერონ, იჩივლონ, თუნდაც ზეციურ კანცელარიაში, მაგრამ ამ რეალობას ვერ შეცვლიან. ქვეყნის ყველა მოქალაქემ უნდა მიიღოს პასპორტი“, – დაასკვნა ბჟანიამ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა განაცხადა, რომ ადეკვატური რეაგირება მოხდება „აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ მოქმედებაზე“. პარლამენტის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის ხელმძღვანელმა შოთა მალაშხიამ განაცხადა, რომ კომისია ამზადებს საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვას აფხაზეთის პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომ ყველა მოქალაქემ უნდა მიიღოს აფხაზეთის პასპორტი. საქართველოს ტელეარხების ცნობით, აფხაზეთის მთავრობამ დაბეჭდა 170 ათასი პასპორტი, რომლის გრაფაშიც „ეროვნება“ მითითებულია აფხაზი, ხოლო გრაფაში „მოქალაქეობა“ – რუსეთის. სერგეი ბაღაფშის განცხადებით, პასპორტების მიღება სავალდებულოა და ეს პროცესი მიმდინარე წლის 1 ნოემბრისთვის უნდა დასრულდეს, – აღნიშნავენ საქართველოს ტელეარხები.

REGNUM

## ტორნადოს მსხვერპლმა 55 კაცს მიაღწია

შეერთებული შტატების 5 სამხრეთ შტატში გამანადგურებელი ტორნადოს სერიის შედეგად სულ ცოტა 55 კაცი დაიღუპა, ასობით დაშავდა. ტენესის შტატში 31 კაცი დაიღუპა, არკანზასში – 13, კიდევ შვიდი კაცი დაიღუპა კენტუკიში და ოთხი ალაბამაში. ეს ყველაზე გამანადგურებელი ტორნადო იყო 1985 წლის მაისის შემდეგ, როცა პენსილვანიასა და ოჰაიოში 76 კაცი დაიღუპა. სტიქიური უბედურების შედეგად ყველაზე ძლიერად დაზიანებულ რაიონებში მომუშავე მაშველები არ გამორიცხავენ, რომ დაღუპულთა რიცხვი შეიძლება უფრო მეტი იყოს.

ყველაზე მეტად დაზიანდა ტენესის შტატი. ქალაქ ჯექსონში გრიგალმა უნივერსიტეტის დასახლება დაანგრია, ასობით სტუდენტი და თანამშრომელი ნანგრევებშია მოყოლილი.



შეგახსენებთ, რომ სამშაბათის ღამიდან მოყოლებული ტორნადომ შეერთებული შტატების ხუთ შტატს გადაუარა – მისისიპს, არკანზასს, ტენესის, კენტუკისა და ალაბამას. სპეციალისტების აზრით, ეს ბოლო 23 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი და გამანადგურებელი ტორნადოა.

სტიქია ქუჩებში ყველაფერს ლეწავდა, ანგრევდა სახლებსა და მაღაზიებს, ჰაერში აჰქონდა დიდტვირთიანი მანქანები. პატარა დასახლებულ პუნქტებში, რომლებსაც ქარბორბალამ გადაუარა, სახლები პრაქტიკულად საძირკვლამდე დაინგრა. როგორც მეტეოროლოგები ამტკიცებენ, ტორნადო გამოიწვია ამ შტატებში ცივი ჰაერის შემოჭრამ. დანამდვილებით ვერავინ ამბობს, რამდენი ტორნადო წარმოიქმნა სამშაბათ ღამით, თუმცა, ვარაუდობენ, რომ მათი რიცხვი 30-დან 40-მდე იყო, აღნიშნავენ შეერთებული შტატების ამინდის ეროვნულ სამსახურში.

## ალ-ყაიდა ტერორისტ ბავშვებს ამზადებს



ამერიკელმა სამხედროებმა გამოაქვეყნეს ვიდეოჩანაწერი, რომელიც 2007 წლის 4 დეკემბერს ბაღდადიდან ჩრდილოეთით მდებარე ალ-ყაიდას ხან-ბანისაადის ბაზაზე რეიდის დროს აღმოაჩინეს.

აქ ნაჩვენებია, თუ როგორ ასწავლიან 11-12 წლის და უფრო ნაკლები ასაკის 20 მოზარდს თავდასხმასა და მკვლელობას, წერს ტაიმსი. ერთ-ერთ ვიდეო რგოლში ბიჭებს ხელში უჭირავთ ყუმბარმტყორცნები და პისტოლეტები და ბოევიკების შავი დროშის ფონზე ანტიამერიკულ ლოზუნგებს გაჰყვირიან.

ვიდეოჩანაწერში ნაჩვენებია, თუ როგორ ასწავლიან ბავშვებს ველოსიპედისტებსა და ავტომანქანების მძღოლებზე თავდასხმას. უფროსი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით მოზარდები იერიშით იღებენ სახლს და ატყვევებენ იატაკზე მძინარე ადამიანებს.

ერაყში შეერთებული შტატების სარდლობის წარმომადგენელს კონტრ-ადმირალ გრეგორი სმიტს მიაჩნია, რომ ეს პროპაგანდისტული რგოლია ალ-ყაიდაში ბავშვების მისაზიდად. მისი თქმით, გასულ თვეში ერაყში კამიკაძე ტერორისტებს შორის ორი 15 წლის მოზარდი იყო. სმიტის ვარაუდით, ვიდეოზე გადაღებული ბავშვები მოხალისენი არიან. გარდა წვრთნისა, ბოევიკები ბავშვებს აიძულებენ რეალურ საომარ მოქმედებაში მონაწილეობას, აგრეთვე ასწავლიან სკოლებსა და ბაზრებში მათთვის საჭირო პროპაგანდის გაწევას. პოლიცია ეჭვობს, რომ ამგვარად გაწვრთნილი ბავშვების დადებული იყო გზის პირას ბომბები, რომლებმაც ამ დღეებში ათობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ერაყის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, გენერალმა მუჰამედ ალ-ასკარიმ აღნიშნა, რომ ქალებისა და ბავშვების სულ უფრო ფართო გამოყენება იმის ნიშანია, რომ ალ-ყაიდა სასოწარკვეთილებამ მოიცვა. როგორც მან თქვა, ბოლო რამდენიმე თვეში ათასობით მშვიდობიანი სუნიტი ტერორისტებს დაუპირისპირდა და განდევნა ისინი ერაყის დასავლეთ ნაწილის დიდი რაიონებიდან და ბაღდადიდან.

№ 24. პარასკევი, 8 თებერვალი, 2008 წელი.

**● რუსეთს არასოდეს არ დაუმალავს, რომ აფხაზეთში თავისი ინტერესები აქვს. ჯერ ერთი, აფხაზეთი რუსეთთან ახლოსაა, აფხაზეთი რუსეთს და ჩრდილოკავკასიას ესაზღვრება. ჩრდილოკავკასიელები აფხაზეთთან არიან დაკავშირებული და ჩვენც იძულებული ვართ ეს ფაქტორი გავითვალისწინოთ**



**◉ აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი**

# ალექსეი მალაშენკო: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ძვრებია მოსალოდნელი, მაგრამ აფხაზეთის საკითხში მოსკოვის მხრიდან სრულ დათმობას გამოვრიცხავ

*რუსი პოლიტოლოგი, მოსკოვის კარნეგი ცენტრის ანალიტიკოსი ალექსეი მალაშენკო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებას რუსეთში დიმიტრი მედვედევის გაპრეზიდენტების შემდეგ პროგნოზირებს. მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების პერსპექტივაზე „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას, ახლო წარსულში საქართველოსადმი აგრესიულობით გამორჩეული ალექსეი მალაშენკოს მოსაზრებები მნიშვნელოვნად შეცვლილი გვეჩვენა.*

*მალაშენკო იმდენად შეცვლილია, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების მოსაგვარებლად საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილს მტკივნეულად აღარ აღიქვამს და გვარწმუნებს, რომ რუსეთმა როგორც სსრკ-ს დაშლა გადაიტანა მტკივნეულად, ისევე მტკივნეულად, მაგრამ მაინც დსთ-ს სივრცეში რუსეთის მიერ კონტროლის დაკარგვას შეეგუა.*

*მისივე აზრით, ახლადარჩეული სათათბიროს დეპუტატების ხმაურიანი განცხადებების მიუხედავად, რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს, რაც თავის მხრივ თბილისისა და მოსკოვის ურთიერთობების გაუმჯობესების საბაბი იქნება. ანალიტიკოსი მხარეებს შორის კონფლიქტების მოსაგვარებლად აქტიურ თანამშრომლობასაც არ გამორიცხავს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ იგი აფხაზეთის საკითხში რუსეთის მხრიდან საქართველოსათვის სრულ დათმობას გამორიცხავს. მალაშენკო მოსაზრებას გამოთქვამს, აფხაზეთის კონფლიქტის მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვარების შესახებ.*

*მოსკოვის სურვილი კონფლიქტების მოგვარების გრძელვადიან პერსპექტივაში გადავადება-გაწელვის შესახებ, გვაფიქრებინებს, რომ კრემლის პოლიტიკის შეცვლის მიზანში აშკარად იკვეთება რუსეთის სურვილი, თუნდაც გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველოს როგორმე უარი ათქმევინოს ნატოში გაწევრიანებაზე. ყველაფერი დანარჩენი, მათ შორის საქართველოს მიმართ მოსკოვის მოჩვენებითი კეთილგანწყობა, რუსული პოლიტიკის სტრატეგიაში მხოლოდ ტაქტიკურ ცვლილებებად აღიქმება.*

**— ბატონო ალექსეი, თქვენი შეფასებით, როგორ განვითარდება საქართველო-რუსეთის ურთიერთობები. პრეზიდენტმა სააკაშვილმა როგორც ოთხი წლის წინათ, მეორე ინაუგურაციაზეც, რუსეთს მეგობრობის ხელი კვლავ გაუწოდა. რით უპასუხებს რუსეთი?**

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ძვრებია მოსალოდნელი. ეს, პირველ რიგში, რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს უკავშირდება. მოგეხსენებათ, მწიფდება ბელადის შეცვლა. გარდა ამისა, რუსეთში გააცნობიერეს, რომ საქართველოსადმი წარმოებულმა პოლიტიკამ არ გაამართლა და ბევრი რამ შესაცვლელია. ამჟამინდელი მდგომარეობა რომ ძალზე არასახარბიელოა, ფაქტია. აშკარაა, რომ აქედან გამოსავლის ძიებისას არასტანდარტული სვლები იქნება გასაკეთებელი.

ახლანდელ ვითარებას კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება ამძიმებს. კოსოვოს აღიარების შემთხვევაში რუსეთი წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდება. რუსეთს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება არც შეუძლია და არც აღიარებს. ამით რუსეთს ჩრდილოკავკასიის ხალხების წინაშე თავისი სისუსტის დემონსტრირება მოუწევს. კავკასიაში კი სუსტები არ უყვართ და ანგარიშს არ უწევენ. კოსოვოს აღიარებით რუსეთი ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ახლადარჩეულ სათათბიროში აფხაზეთის აღიარების საკითხზე ბევრს იხმაურებენ დეპუტატები, მაგრამ აფხაზეთის აღიარება მაინც არ შედგება.

ეს კი შეიძლება რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების საფუძველი გახდეს. რაც შეეხება, პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებებს რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების შესახებ. მე რიტორიკაზე მეტად ყურადღებას რეალურ მოქმედებებს ვაქცევ. მთავარია არა ის, რას აცხადებ, არამედ ის, რას აკეთებ. ვნახოთ, განცხადებების შემდეგ, რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს პრეზიდენტი სააკაშვილი.

ჩემი აზრით, პრეზიდენტად მედვედევის მოსვლის შემთხვევაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ბევრი რამ შეიცვლება. მედვედევს საგარეო ასპარეზზე არასოდეს არ უაქტიურია და იგი, პუტინისაგან განსხვავებით, საქართველოსთან მიმართებაში ბევრად უფრო თავისუფალი იქნება. რა თქმა უნდა, ასევე, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული სუბიექტურ მომენტებზე. სააკაშვილი კი ცდილობდა პუტინთან ურთიერთობების გაუმჯობესებას, მაგრამ ერთსაც და მეორესაც ამ საქმეში, გარკვეულწილად, ერთმანეთისადმი პირადმა დამოკიდებულებამ შეუშალათ ხელი.

**— მას შემდეგ, რაც უკრაინამ ნატოში გაწევრიანების შესახებ ბრიუსელს ოფიციალური წერილით მიმართა, მოსკოვმა კიევს ულტიმატუმებით საუბარი დაუწყო. რამდენად შეიძლება აისახოს რუსეთის პოლიტიკაზე საქართველოს ნატოსკენ სწრაფვა?**

— არა მგონია ამან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე მნიშვნელოვნად იმოქმედოს. დრომ გვიჩვენა, რომ რუსეთმა რაც არ უნდა ლანძღოს დასავლეთი, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დასავლეთისადმი სწრაფვის საკითხში არაფერი შეიცვლება. საქართველოს შემთხვევაში ნატოსადმი სწრაფვა ქვეყნის იდეოლოგიისა და პროპაგანდის ნაწილი იქნება. საქართველოში ნატოსადმი სწრაფვა რიტუალურ ხასიათს მიიღებს, მაგრამ ამით, რეალურად, ობიექტურ მიზეზთა გამო კარგა ხანი არაფერი შეიცვლება.

**— რუსეთი უკვე შეეგუა პოსტსაბჭოთა სივრცეზე კონტროლის დაკარგვას?**

— უდიდესი ფსიქოლოგიური სიმძიმის მიუხედავად, რუსეთი საბჭოთა კავშირის დაშლას შეეგუა. ახლა რუსეთი დსთ-ს სივრცეზე განსაკუთრებულ გავლენაზე უარის თქმას ეგუება. დღევანდელი რუსეთი შესაძლებლად თვლის არა მარტო რუსეთში ევროპული და ამერიკული კაპიტალის დაბანდებას, არამედ დასავლეთის იმ ქვეყნებში შესვლას, რომლებზეც რუსეთის კონტროლი ვრცელდებოდა.

ფაქტია, რომ რუსეთმა როგორც არ უნდა იაქტიუროს და მეზობლებს როგორიმე მიმართულებით ყურება აუკრძალოს, მათი მხრიდან მოსკოვისადმი დაუმორჩილებლობის გამოვლენა უფრო მკვეთრი იქნება.

დღეს ქვეყნების მხრიდან ყველა მიმართულებით აქტიურობა, მათ შორის რუსეთის მიმართულებითაც, ანუ მრავალ ვექტორზე ურთიერთობების გაძლიერება, ნორმალურია, ამაში რუსული პოლიტელიტის საკმაოდ დიდი ნაწილი ცუდს ვერაფერს ხედავს.

**— მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება რამდენად შეიძლება აისახოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებაზე?**

— აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტის საფუძველს ვერ ვხედავ და ამიტომ მიმაჩნია, რომ იგი კარგა ხანი არ გადაწყდება. შეიძლება არც გადაწყდეს. აფხაზეთის საკითხს კარგად ვიცნობ და შემიძლია ვთქვა, რომ აქ ვითარება მართლაც რთულია. საბჭოთა პერიოდშიც კი, აფხაზები აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ თვლიდნენ და სოხუმის სანაპიროზე აფხაზეთის დროშას აფრიალებდნენ. აფხაზეთი პოლიტიკურად და ეკონომიკურად მართლაც ნაკლებად იყო თბილისზე დამოკიდებული.

ჩემი ვარაუდით, თბილისსა და სოხუმს შორის რაღაც პროცესი შეიძლება დაიძრას, მაგრამ საქართველოსა და აფხაზეთს შორის იმ დონეზე ურთიერთობების აღდგენა, როგორიც იყო, გამოვრიცხავ, ვინაიდან ეს შეუძლებელია.

არ გამოვრიცხავ აფხაზეთში ევროპის ქვეყნების გააქტიურებას, არა მარტო ეკონომიკურ სფეროში. დასავლეთს უნდა ესმოდეს, რომ ამით ქართველთა თავმოყვარეობას შელახავს, ეს კი სახიფათოა. რა კრიტიკულადაც არ უნდა აფასებდნენ აფხაზეთში რუსეთის პოლიტიკას, რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და მოსკოვი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას არ აპირებს.

**— მიუხედავად ამისა, იძულებული ვარ შეგახსენოთ, რომ კარნეგის ცენტრიდან თქვენი კოლეგის დიმიტრი ტრენინის მსგავსად, 5 წლის წინათ თქვენც ამტკიცებდით, რომ რუსეთსა და აფხაზეთს შორის ინტეგრაციული პროცესები იმდენად ღრმაა, რომ აფხაზეთის საქართველოში რეინტეგრაცია წარმოუდგენელია. სწორედ ამის გამო თბილისში სამართლიანად მიიჩნევენ, რომ აფხაზეთი რუსეთის მიერაა ანექსირებული.**

— მაშინ ასე ვთვლიდი და ახლაც ასე მიმაჩნია. აფხაზეთში ფულადი ერთეული რუსული რუბლია, იქ მცხოვრებლებს რუსეთის მოქალაქეობა აქვთ მიღებული, რუსი ბიზნესმენები აფხაზეთში ქონებას იძენენ, მაგრამ ეს კერძო კაპიტალია და მასზე სახელმწიფო პასუხიმგებლობას არ და ვერ აიღებს.

აფხაზეთში ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ აფხაზური პოლიტელიტა მხოლოდ დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვის. მცდარია მტკიცება, თითქოს აფხაზები ყველაფერში მოსკოვს უჯერებენ და რუსეთის კარნახით მოქმედებენ. მე აფხაზეთში არსებულ დღევანდელ ვითარებას კარგად ვიცნობ, აფხაზები არა მარტო რუსეთზე არიან ორიენტირებული. იქ არიან ძალები, რომლებიც ევროპისკენ იყურებიან, არიან ისეთები, ვინც თურქეთზეა ორიენტირებული, ასე რომ, აფხაზეთში არც ისე მარტივადაა საქმე. რუსეთი კი ეხმარება აფხაზეთს, მაგრამ გარწმუნებთ, ჩვენ მათ რომც არ დავეხმაროთ, მათ უკვე მოძებნილი აქვთ ალტერნატიული წყაროები.

საქართველოსთვის აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება ხანგრძლივი და მძიმე პროცესი იქნება. შეიძლება ეს კონფლიქტი, ისევე, როგორც კვიპროსისა, არც კი გადაწყდეს. აფხაზეთისათვის ოპტიმალური ვარიანტია ურთიერთობების ყველასთან განვითარება. შეიძლება აფხაზეთს მართლაც განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭოს, მაგრამ იგი საქართველოსთვის ისე არ გადაწყდება, რომ ყველაფერი კონფლიქტამდე არსებულ ვითარებას დაუბრუნდეს.

აფხაზეთის საკითხში რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის სრული დათმობა წარმოუდგენლად მიმაჩნია. მე მაინც მგონია, რომ აფხაზეთში, რუსული სამხედრო ძოლგის ქვეშ გაგრძელდება კერძო რუსული კაპიტალის შესვლა. შეიძლება ამ პროცესში დასავლეთიც ჩაერთოს.

**— დასავლეთმა, კერძოდ ევროსაბჭომ, საქართველოში კონფლიქტების შესახებ მიღებულ რეზოლუციაში რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში გადაჭარბებული ინტერესის გამო გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ამ კონფლიქტებში რუსეთი მხარედ გვევლინება.**

— რუსეთს არასოდეს არ დაუმალავს, რომ აფხაზეთში თავისი ინტერესები აქვს. ჯერ ერთი, აფხაზეთი რუსეთთან ახლოსაა, აფხაზეთი რუსეთს და ჩრდილოკავკასიას ესაზღვრება. ჩრდილოკავკასიელები აფხაზეთთან არიან დაკავშირებული და ჩვენც იძულებული ვართ ეს ფაქტორი გავითვალისწინოთ.

აფხაზეთში რუსი სამშვიდობო ძალების ყოფნა მხოლოდ შირმაა, რომლითაც რუსეთი აფხაზეთში თავის ინტერესებს თავისივე სამხედრო ქვედანაყოფებით იცავს. იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო, იგივე განმეორდება, რაც 1992-1993 წლებში, ჩრდილოკავკასიელი ხალხები აფხაზებს დაეხმარებიან.

**— თქვენ გინდათ თქვათ, რომ რუსეთი ჩრდილოკავკასიას ვერ აკონტროლებს და აფხაზეთში საომარი მოქმედების დაწყების შემთხვევაში რუსეთს არ შესწევს ძალა კავკასიელთა აფხაზეთში შესვლა არ დაუშვას?**

— ჩვენ შეგვიძლია არ შევუშვათ ისინი აფხაზეთში, მაგრამ შეგვიძლია შევუშვათ კიდეც. თუ საქართველო დაწყებულ ომს მოიგებს ეს კარგი იქნება, რომ წააგოს — ცუდი. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა პროცესები შეიძლება დაიწყოს ჩრდილოკავკასიაში იმ შემთხვევაში, საქართველომ ომი აფხაზეთში კიდევ ერთხელ რომ წააგოს? ომის მოგების შემთხვევაშიც კი, რეგიონის პალესტინიზაცია გარდაუვალია, რაც იმასაც ნიშნავს, რომ აფხაზეთის სამოთხე ჯოჯოხეთად გადაიქცევა.

მე მაინც მგონია, რომ აფხაზეთში ომის დაწყებამდე საქმე არ მივა. ომის დაწყებით ვერავინ ვერაფერს მოიგებს, არც საქართველო, არც რუსეთი, არც აფხაზეთი და არც ჩრდილოკავკასიელები. იმედი მაქვს, მხარეები სიბრძნეს გამოავლენენ და აფხაზეთის ურთულესი კონფლიქტი მხარეთა მიერ გაკეთებული კომპრომისული ნაბიჯებით მშვიდობიანად მოგვარდება.

**კობა ბენდელიანი,**
**„ინტერპრესნიუსი“**

№ 24. პარასკევი, 8 თებერვალი, 2008 წელი.

● რაც მთავარია, მე გამახარა და მეცხრე ცაზე ამტყორცნა ღვთაებრივი საწყისის მქონე ფენომენმა – სიტყვამ, სიტყვამ ქართულმა, ძარღვიანმა, უმშვენიერესმა ჯემალ მონიავას შემოქმედებაში




◎ უპირველესად იყო სიტყვა...

# ოცდაჩვიდმეტი ოაზისი უკიდეგანო უდაბნოში

**„ჩემო ძვირფასო მკითხველო, ასე იმიტომ მოგმართავ, რომ დღეს, თუკი ვინმე კითხულობს – ყველა მეძვირფასება“...**

**ამ სიტყვებით მიმართავს ადრესატს სულ ახლახან დასტამბული ნოველებისა და მოთხრობების კრებულის ავტორი ჯემალ მონიავა. ალბათ გეცნოთ ეს სახელი და გვარი! არც შემცდარხართ! იგი ყველასთვის ცნობილი მარჯანიშვილის სახელობის თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი ჯემალ მონიავაა.**

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული წიგნი ცხოვრების ნამდვილი ფილოსოფიაა, სახელწოდებაც რომ ასე ილბლიანად შეურჩევია ავტორს – „წუთი სოფელში“. ეს წუთიერი სოფელი კი, –თავისი ანტონიმებით: მშვენიერი – მახინჯი, ამაღლებული – მდაბალი, ტრაგიკული – კომიკური ისეთი მწერლური ნიჭით, დიდი ტკივილითა და ზეალმატებული სიყვარულით, და რაც მთავარია, ძარღვიანი, დახვეწილი და გამორანდული ქართული მოუწვდია ჩვენთვის ავტორს, რომ თანაბარწილად გეუფლება სიამაყეც და სირცხვილიც, ალტაცებაც და სინანულიც – თვისტომის საქციელის გამო. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ქართული ხასიათის, ქართული სულის, განუმეორებელი ქართული ფენომენის საკუთრებაა! შენია, შენი მშობლების, შენი წინაპრების, შენი და-ძმების, ნათესავის, ახლობლის თუ შორებლის თვისებაა, ღირსება თუ ნაკლია და ამით აიხსნება იმ ემოციური ზეგავლენის სიძლიერეც, რომელიც წიგნის წაკითხვის შემდეგ გაიძულებს კიდევ ერთხელ მიუბრუნდე, კიდევ ერთხელ წაიკითხო, კიდევ აღმოჩნდე ნაწარმოების იმ გმირების გვერდით, რომელნიც ზოგჯერ უხერხულ სიტუაციებსაც გიქმნიან, მაგრამ ისინი შენიანებია, შენი მოდგმისანი არიან, შენი ჯიშისა და ჯილაგის მოზიარენი და... გიხარია, რაღაც უზომოდ გიხარია და ვერ ხვდები, – რა?!

ვიდრე წიგნის მთავარ ღირსებას გაგიზიარებთ და ამით ზემოთ ნათქვამი სიხარულის მიზეზამდეც მივალთ, მინდა შეგახსენოთ, რომ ადამიანი არ არსებობს ანთროპოცენტრული სამყაროს, ანუ კულტურის გარეშე იმ უბრალო მიზეზით, რომ ან თვითონაა კულტურის შემოქმედი, ან სხვა ადამიანთა მიერ შექმნილი კულტურის მსაჭიროებელია. მაგრამ შემოქმედს, ჩვენი მხრიდან კულტუროლოგიური შემმეცნებელი ესაჭიროება, რომლის მთავარი აზრიც ემპედოკლეს დებულებით შეიძლება გამოიხატოს – მსგავსი მსგავსით შეიმეცნება და გაიგება, ანუ ერთი ადამიანი, როგორც შემოქმედი, ქმნის კულტურის საგანს (ლაპარაკია, რასაკვირველია, სულიერ კულტურაზეძ. მეორე ადამიანი კი აღიზრდება იმ ღირებულებებზე, რომელიც პირველმა გაასაგნობრივა მის მიერ შექმნილში. ამით პირველი, ანუ შემოქმედი არა მარტო კულტურის საგანს ქმნის, არამედ ამ საგნის გამომყენებელ ადამიანსაც იმიტომ, რომ ის სულიერად მისგან მოდის, მის ღირებულებებზეა აღზრდილი. ჰეგელის ენით თუ ვიტყვით, იგი „მისი სხვაა“, ანუ ნაცნობი უცნობია და აქედან გამომდინარე, ჩვენ ის გვახარებს ჩემთვის ახლად აღმოჩენილი მწერლის, ბატონ ჯემალ მონიავას შემოქმედებაში, რომ უცნობი ვიცანი, უფრო მეტიც, იგი მე აღმოვჩნდი, თუ ნომინალურად არა, სულიერად მაინც!

რაც მთავარია, მე გამახარა და მეცხრე ცაზე ამტყორცნა ღვთაებრივი საწყისის მქონე ფენომენმა – სიტყვამ, სიტყვამ ქართულმა, ძარღვიანმა, უმშვენიერესმა ჯემალ მონიავას შემოქმედებაში, რაც დღეს, სამწუხაროდ და სავალალოდ შეგნებულად თუ შეუგნებლად განიდევნება არენიდან იმ ადამიანთა მიერაც კი, რომელთაც პროფესიულად ევალებათ მეტყველების კულტურის ფლობა. ლაპარაკია (იშვიათი გამონაკლისის გარდაძ ეგრეთ წოდებულ ჟურნალისტებზე, ნაირგვარი ჯურის ტელეშოუთა წამყვანებსა და, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ ადამიანებზეც, რომელნიც წარმოუდგენელი „წარმატებით“ ამახინჯებენ მშობლიურ ენას ისე, რომ სული გეხუთება, ფიზიკური დისკომფორტი გექმნება უდაბნოში მოხვედრილი ადამიანივით, როცა გესმის ახალგაზრდა დედა შვილს რა სიტყვებით ტუქსავს: „ნუ მეუზრდელები!“ გზავნილებს რომ კითხულობ ტელეეკრანზე: „დავეურთიერთები ამდენი, ან იმდენი წლის ქალს“, ტელეწამყვანებისთვის ხომ არათუ თურმეობითსა და მეორე კავშირებითზე წარმოდგენა არ არსებობს, არამედ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი და ზოგიერთი ზმნიზედის დაბოლოვება ერთმანეთშია არეული. დამშვიდებული სინდისით შემოგვთავაზებენ სიტყვებს ამგვარი ფორმით: „თვითეული“, „არაფლით არ შეიძლება“, „კარქათ“, „დღესდღეისობით“, „წინად“, „მძინავდა“, „ბრძოლობს“, „წამიკითხია“, „მითქვია“, „მოდით დაედებატეთ ერთმანეთს!“ და ა.შ.

**ამ ყველაფრის ფონზე, უეცრად თავს აღწევ ყიამეთ ღამეს, გონება გინათდება, სუფთა ჰაერი გამოგაცოცხლებს და უდაბნოში უეცრად აღმოჩენილი ოაზისის წყაროს სულმოუთქმელად ეწაფები!**

**მართლაც, ნავსაყუდელია ბატონ ჯემალ მონიავას შემოქმედება მათთვის, ვისთვისაც არ არსებობს ენა აზროვნების გარეშე და არც აზროვნება მშობლიური, ლამაზი ენის გარეშე. ენამ აზრი უნდა ზიდოს. აზრისგან დაცლილი ენა მკვდარია. ეროვნული ენა კულტურის არა მარტო არსებობის პირობაა, არამედ თვითონაა კულტურა.** მინდა დიდი გერმანელი განმანათლებლის – ჰერდერის სიტყვები გავიხსენო: „შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ხალხი, რომელსაც არ ექნებოდა პოეტური ენა, მაგრამ ეყოლებოდა დიდი პოეტები, არ ექნებოდა მოქნილი ენა, მაგრამ ეყოლებოდა უდიდესი პროზაიკოსები, არ ექნებოდა ზუსტი ენა, მაგრამ ეყოლებოდა დიდი მოაზროვნენი“.

დიახ! დარწმუნებული ვარ, სულიერების მსაჭიროებელ ადამიანებს სულს მოათქმევინებს მრავალმხრივი ქართველი შემოქმედის, შესანიშნავი მსახიობისა და უტყუარი მწერლური ნიჭით დაჯილდოებული ნოველისტის ჯემალ მონიავას ქმნილება „წუთი სოფელში“, რომელიც მისი მეორე წიგნი გახლავთ „ნათლობის“ შემდეგ, 2002 წელს რომ გამოიცა. პირველი სასიამოვნო განცვიფრება სწორედ ამ წიგნმა გამოიწვია დაინტერესებულ მკითხველში, რაც პროფესიონალი მსახიობის უკვე სხვაგვარი, – ჭეშმარიტი მწერლური ნიჭის გამონაშუქი გახლდათ.

სულიერი კულტურის ერთ-ერთი ფორმის – ხელოვნების იმ სახეობაში, რომელსაც მხატვრული ლიტერატურა ჰქვია, ერთ-ერთი უმშვენიერესი, მაგრამ ურთულესი ჟანრი ნოველაა. ვისურვებდი, კვლავაც დაესადგურებინოს ჯემალ მონიავას ღრმა აზრთა მტვირთავ სიტყვებს ამ ჟანრში და გაებრწყინოს ფაქიზი იუმორით გაჯერებულ იმგვარ სხარტ გამონათქვამებს, ოცდაჩვიდმეტი ოაზისიდან რომ „ამომზებულებულა“.

**– „შენ როდემდე უნდა აზრუნო ეს ცოდვიანი მიწა?**

**– ვიდრე ზევითა ვარ მე ვაზრუნებ, მოვკვდები და მემრე იმან მაზრუნოს“.**

**გვჭირდება, ნამდვილად გვჭირდება ასეთი შემოქმედი და მისი მადლიანი ქართული, რათა მისთვის საყვარელი შემოქმედის – გოგლა ლეონიძის ენით თუ ვიტყვით, – „უამსიტყვებოდ არ შეგვცივდეს“.**

**ლალი გვასალია,**
**ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვოკულტუროლოგიის მიმართულების პროფესორი.**

◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ I ჯგუფის ინვალიდი, გონებრივად საღად ვაზროვნებ, მაგრამ 45 წლის კაცს მიჭირს გადაადგილება. ცოლ-შვილი არ მყავს, მშობლებიც გარდამეცვალა. ადრე პენსია სახლში მოჰქონდათ, ახლა სალაროში რიცხავენ და იქ მიწევს ყოველთვიურად მისვლა, რაც ჩემთვის დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, იქნებ მირჩიოთ, ვის მივმართო?**

**ზაურ ბეგიაშვილი**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, საჭიროა განცხადებით მიმართოთ პენსიის გამცემ ორგანოს (ე. ი. სოციალური სუბსიდიების სააგენტოს რაიონულ სამსახურს) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც გაითვალისწინებს თქვენს მდგომარეობას და უზრუნველყოფს პენსიის ბინაზე მოტანას.

* * *

**კითხვა: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ახალი კანონით აღარ ხდება შრომის წიგნაკის წარმოება. მითხარით რით დავადასტურო მუშაობის სტაჟი, როცა საპენსიო ასაკი დგინდება?**

**ლამარა თუთბერიძე**

**პასუხი:** ახალი შრომის კოდექსის თანახმად, დასაქმებულთა შრომითი საქმიანობის აღრიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.



* * *

**კითხვა: ვმუშაობ კერძო სტრუქტურაში. ჩემს სამსახურში ბევრ თანამშრომელს გაეზარდა ხელფასი, მე კი ისევ ძველებურად 180 ლარი მეძლევა. როცა უფროსს ვთხოვე, მოექცია ყურადღება, მითხრა: – ჯერ შენი ჯერი არ დამდგარაო. არადა, ეკონომიურად უკიდურესად მიჭირს. მირჩიეთ, ვის მივმართო ხელფასის გაზრდის საკითხზე?**

**ანგელინა გაბიჩვაძე**

**პასუხი:** ამ საკითხზე მოტივირებული განცხადებით კვლავ თქვენი დაწესებულების ადმინისტრაციას უნდა მიმართოთ, რომელიც ვალდებულია, მოგცეთ კონკრეტული პასუხი, რა მიზეზით ვერ ხერხდება თქვენთვის ხელფასის მომატება, თუ თქვენს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ თანამშრომლებს მოემატათ ანაზღაურება. სხვა რომელიმე ორგანო მოკლებულია კანონიერ შესაძლებლობას, დაგეხმაროთ თქვენთვის საჭირბოროტო საკითხის მოგვარებაში.

* * *

**კითხვა: ვარ II ჯგუფის ინვალიდი – მხედველობით. ადრე ვსარგებლობდი შეღავათით ბუნებრივი აირის გადასახადის გადახდის დროს, რასაც წელს აღარ მაძლევენ. სწორია ასეთი გადაწყვეტილება?**

**ელისო იოზაშვილი**

**პასუხი:** ასეთი გადაწყვეტილება კანონიდან გამომდინარეა, ვინაიდან შეღავათები ბუნებრივი აირის გადასახადის გადახდის დროს არც ერთი ჯგუფის ინვალიდზე აღარ ვრცელდება, თუ ისინი არ მოხვდნენ სიღატაკის დაძლევის პროგრამაში, ე. ი. ვერ დააგროვეს შესაბამისი სარეიტინგო ქულა.

* * *

**კითხვა: ვარ ღრმად მოხუცი პენსიონერი, არ ვყოფილვარ გათხოვილი. ვიღებ 22 ლარ დახმარებას. თუ მარტოხელად ვითვლები, ამიხსენით, რატომ არ ვიღებ 30 ლარ დახმარებას და არ ვსარგებლობ შეღავათებით?**

**ლიანა ბოცვაძე**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, მარტოხელად ითვლებით და სწორედ ამიტომ, პენსიის გარდა, იღებთ 22 ლარ დახმარებას. უფრო მეტი დახმარების დანიშვნისა და შეღავათებით სარგებლობის საკითხზე, გირჩევთ, დარეგისტრირდეთ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და თუ სათანადო შემოწმების შედეგად მოგეკუთვნებათ შესაბამისი სარეიტინგო ქულა, 22-ის ნაცვლად, მოგეცემათ თვეში 30 ლარი დახმარება და გაგივრცელდებათ 50-პროცენტიანი შეღავათები კომუნალური გადასახადების გადახდის დროს.

* * *

**კითხვა: ვარ I ჯგუფის ინვალიდი, მყავს მეუღლე და 3 შვილი, მაქვს 34 წლის შრომის სტაჟი. ვიღებ პენსიას თვეში 55 ლარის ოდენობით. ვცხოვრობ დედაქალაქში. რამდენჯერ მივმართე სოცუზრუნველყოფას ჩემს პენსიაზე 10 ლარის დამატების თაობაზე, მაგრამ უარით გამომისტუმრეს. იქნებ ამიხსნათ, რატომ არ მეძლევა დანამატი?**

**ვალერიან გოგორიშვილი**

**პასუხი:** დანამატი იმიტომ არ გეძლევათ, რომ იგი პენსიაზე ერიცხებათ მხოლოდ მოხუცებულობით (ასაკით) პენსიონერებს. პენსიონერთა სხვა რომელიმე კატეგორიის (მათ შორის I ჯგუფის ინვალიდების) პენსიის სტაჟის ხანგრძლივობის მიხედვით გაზრდა, მოქმედი კანონით, სამწუხაროდ, არ არის გათვალისწინებული.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

№ 24. პარასკევი, 8 თებერვალი, 2008 წელი.

# სპორტი

● ეს გახლდათ პროტესტი იმ უტიფარი განცხადებების მიმართ, სისტემატურად რომ გაისმის ნოდარ ახალკაცისა და მისი დამქაშების ბაგეთაგან: ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართო

№ 24. პარასკევი. 8 თებერვალი, 2008 წელი.

◉ ორბიტაზე

## აფრიკული საჩუქრები

**ფეხბურთის აფრიკელი გულშემატკივრები გამორჩეულნი არიან. ისინი თავიანთ რჩეულ ფეხბურთელებსაც მადლობას გამორჩეულად უხდიან. მაგალითად, ტურნირის მასპინძელი განას ნაკრების 82 წლის გულშემატკივარმა თავდამსხმელ ჯუნიორ აგოგოს „შავი ვარსკვლავების“ ნახევარფინალში გასვლისთვის საჩუქრად თავისი შვილიშვილი შესთავაზა.**

მართალია, თავდამსხმელმა ჯგუფურ ეტაპზე თავი ვერაფრით გამოიჩინა, გარდა ნამიბიის კარში გატანილი ერთადერთი ბურთისა, მაგრამ ნიგერიის ნაკრების კარის აღებით მან ექსტაზში მოიყვანა გულშემატკივრები, განსაკუთრებით ხანდაზმული ქომაგები, მათ შორის „გულუხვი“ ბაბუა.

აფრიკის თასის გათამაშების მეორე გმირი გახდა ეგვიპტის ნაკრების ფეხბურთელი აბუ ტრეიკა, რომელმაც სუდანის ნაკრებთან შეხვედრისას მაყურებელთა თვალწინ მაისური გადაიძრო, რომლის ქვეშ, მეორე მაისურზე ეწერა „თანავუგრძნობ გაზის სექტორის მცხოვრებთ!“

აბუ ტრეიკა სამშობლოში უმალ გახდა ცოცხალი ლეგენდა, მისმა სახელმა მოსკოვამდისაც მიაღწია (მის გადაბირებას ცდილობენ „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“ძ. ეგ-



ვიპტეში სასწრაფოდ გამოსცეს წიგნები მის მიღწევებზე, ხოლო ეგვიპტის ქალაქ კენში იმამმა ადგილობრივ მეჩეთში ის ისლამის ისტორიაში პირველად „რელიგიურ სიმბოლოდ“ მოიხსენია.

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ ფეხბურთელი გააფრთხილა სპორტულ შეჯიბრებებზე „პოლიტიკური ლოზუნგების“ დაუშვებლობაზე. შეიხმა აბდელ რახმან ახმედმა კი განაცხადა, რომ „აბუ ტრეიკამ გააკეთა ის, რაც ვერ შეძლეს არაბმა ლიდერებმა — ისრაელურ ბლოკადაში მყოფი პალესტინელების დახმარება“.

## ვინ დაამშვიდებს „პატრიოტს“

**ნამდვილად არაფერი შეგშურდებათ ამერიკული ფეხბურთის კლუბის „ნიუ-ინგლენდ პეტრიოტსის“ კვოტერბეკის ტომ ბრეიდის „გულისვარდის“, ცნობილი სუპერმოდელის ჟიზელ მენდჰენისა. ის მეხუთე დღეა გლოვობს. საქმე ისაა, რომ კვირას ამ სეზონში ჯერ დაუმარცხებელმა მასაჩუსეტელმა კლუბმა სრულიად მოულოდნელად წააგო „ნიუ-იორკ ჯაიანტსთან“ არიზონის შტატში გამართულ სუპერბოულში.**

იმის ნაცვლად, რომ რიო-დე-ჟანეიროს ტრადიციულ კარნავალზე მოელხინა, ბრაზილიელი ჟიზელი იძულებულია, ბოსტონში დაყოვნდეს, სადაც ის, როგორც იქნა, სამშაბათს ჩაფრინდა ადგილობრივი პაპარაცების გასახარად. სუპერმოდელი იქ ჩაფრინდა ტომ ბრეიდის სანუგეშებლად, რომლის გუნდმა თითქმის განაღდებული გამარჯვება ხელიდან რომ გაუშვა.

თუმცა ამ დამარცხების შემდეგ ტომი აღარ გამოჩენილა. ამბობენ, რომ სასმე-



ლებს მიეძალაო. ჟიზელი კი პაპარაცებს არაფერს ეუბნება.

ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ ტომ ბრეიდსა და ჟიზელს შორის, შესაძლოა, ნაპრალი გაჩნდეს. ბევრი შიშობს, რომ „პატრიოტების“ სამარცხვინო მარცხი, შესაძლოა, ბრაზილიელ ლამაზმანს დააბრალონ.

◉ ფეხბურთი

# კუჭიანს რა გაასწორებს

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელი უფროსობის მმართველობის პერიოდში ახალი ტრადიცია დამკვიდრდა: თუ ჩვენი კლუბები პოპულარულ ევროტურნი-**



**რებში აზიის კონფედერაციიდან ორიოდე წლის წინათ გადმობარგებულმა ყაზახებმა „დაიბულკეს“, კლაუს ტოპმიოლერის გაწვრთნილი ეროვნული ნაკრები ბალტიისპირელთა მსუყე ლუკმად ჩამოყალიბდა.**

ალბათ, გერმანელ სპეციალისტს კარგახანს ემახსოვრება 6 თებერვლის სუსხიანი საღამო, როცა ლატვიასთან ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე ჩაფლავებული ამხანაგური მატჩის შესვენებისას და, განსაკუთრებით საფინალო სასტვენის შემდეგ ჯვაროსანთა გულშემატკივრებმა ობსტრუქცია სტვენის საკმაოდ დიდი დოზის გამოწერით მოუწყვეს. ეს არ ყოფილა სეზონის სტარტზე განცდილი რიგითი შეხვედრის წაგებით გამოწვეული იმპულსური რეაქცია — პირიქით, ეს გახლდათ პროტესტი იმ უტიფარი განცხადებების მიმართ, სისტემატურად რომ გაისმის ნოდარ ახალკაცისა და მისი დამქაშების ბაგეთაგან: ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართო. ამაზეა სწორედ ნათქვამი — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. როგორ დგახარ სწორ გზაზე, როცა ერთ შესარჩევ ციკლს შვიდგუნდიან ჯგუფში ბოლოსწინა პოზიციაზე ასრულებ, ახალი საკვალიფიკაციო რაუნდის წინ კი ქომაგებს პესიმიზმისთვის კიდევ უფრო მეტ საფუძველს აძლევ. და ეს ხდება მაშინ, როცა „ტოპის“ ჯერაც არ მოუწერია ხელი ახალ კონტრაქტზე, რომელსაც, კაცმა არ იცის, რა დამსახურების გამო სთავაზობს სფფ-ს თავკაცი. ფედერაციის პრეზიდენტის შარშანდელი 13 მაისის „არჩევნებში“ უცერემონიო ჩარევის გამო ხომ არა, ახალკაცი სკამის კაცად რომ აქცია? ეტყობა, ასეც არის.

რაც შეეხება ალექსანდრე სტარკოვის შეგირდებთან წაგებულ თამაშს — 1:3 (პრესტიჟის გოლი სტუმართა კარში კალაძემ გაიტანაძ, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ, მართალია, გვყავს ნიჭიერი ფეხბურთელები, მაგრამ არა გვყავს დიდი მიზნების მისაღწევად მებრძოლი გუნდი და, ალბათ, ახალკაც-ტოპმიოლერის ზეობის პერიოდში არც გვეყოლება. იცით, რატომ? — იმიტომ, რომ საზოგადოების „დასაბოლებლად“ მათ თანამგზავრად საკუთარი თავის ქება და სიცრუე აქვთ არჩეული, ასეთ მეთოდს კი სიკეთე არავისთვის მოუტანია.



**გთავაზობთ განვლილ ოთხშაბათს გამართული კიდევ რამდენიმე საინტერესო ამხანაგური დუელის შედეგს:**
ირლანდია — ბრაზილია 0:1 (რობინიოძ, ესპანეთი — საფრანგეთი 1:0 (კაპდევილაძ, ავსტრია — გერმანია 0:3 (ჰიცშპერგერი, კლოზე, გომესიძ, ინგლისი — შვეიცარია 2:1 (ჯენასი, რაიტ-ფილიპსი; შტრელერიძ, იტალია — პორტუგალია 3:1 (ტონი — 2, კვალიარელა; კვარეჟმაძ, ჩეხეთი — პოლონეთი 0:2 (ლევანდოვსკი — 2ძ, ხორვატეთი — ჰოლანდია 0:3 (ჰეიტინგა, ჰუნტელაარი, ჰესელინკიძ.



◉ ცხელ გულზე



# გაგვეცალე, კლაუს ტოპმიოლერო!

*ტოპმიოლერ, ჩვენს რაშს ვერ*
*დაიურვებ,*
*გაგვეცალე დე ფაქტოდ, დე იურედ!*
*დღეს ხომ შენი უვიცობა ატყვია*
*ლატვიისგან სამით ერთზე ნატყვიარს.*

*თასის მფლობელ ფეხბურთელთა*
*გნიასში*
*შენს წასვლას გვთხოვს სული*
*ჟორდანიასი,*
*შენს წასვლას გვთხოვს სული*
*ახალკაცისა,*
*(შვილი არა — ის ფეხბურთს ღდინს*
*აცლისა.*

*ფურცელია — კალენდარს მოხეული,*
*ვიგინდრების მიერ თავსმოხვეული,*
*არჩევნითაც კი ვერ გამოეტია,*
*მაგრამ ისევ ყალბი პრეზიდენტია...ძ,*

*შენს წასვლას გვთხოვს მეტრეველი და*
*მესხი,*
*მათეული განაჩენი ჩამესმის:*
*— ისმინოსო ყველამ, ვისაც ყური აქვს,*
*გერმანული ან ფრანგული კი არა,*

*სულიანად, ხორციანად, მთლიანად*
*ჩვენ ფეხბურთი ეროვნული გვწყურია.*
*და ამ გზაზე არ გვინდა დააშინონ,*
*ვინც ჩივაძობს და ვინც*
*ძოძუაშვილობს!*

* * *

*ჰოდა, დროა, კლაუს ტოპმიოლერო,*
*ოდნავ მაინც საქმე გაგვიიოლო.*

*ერთს კი გკითხავთ:*
*გვითხარ ქრთამად რა შერჩა,*
*შენი თავი ვინც ჩვენ შემოგვაჩეჩა?*

**ალექსანდრე შენგელია**

◉ კალათბურთი

# ნუ გააბრაზებთ მხეცს

**შარშანდელ ეროვნულ ჩემპიონატში რუსთავის „ენერჯი ინვესტმა“ ერთადერთი შეხვედრა წააგო, წლეულს კი უკვე ზედიზედ ორჯერ დატოვა სარბიელი დამარცხებულმა.**

ასეთი ჩავარდნის შემდეგ, ადვილი წარმოსადგენია, ბრძოლის როგორი ჟინით გამოვიდოდნენ თავმოყვარეობაშელახული ქვემოქართლელები თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ.

მასპინძლებს ტრავმირებული სანიკიძე და ახალკაცი აკლდათ, თუმცა შესვენებამდე მაინც ღირსეულად უმკლავდებოდნენ მრისხანე მეტოქეს — 39:42. ფავორიტმა გადამწყვეტი უპირატესობა მხოლოდ მას შემდეგ მოიპოვა, რაც მეხუთე პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი ლაფანაშვილმა დატოვა — 97:68.

დრამატულად განვითარდა მოვლენები „ავიამშენისა“ და „ვითას“ მატჩში. უკანასკნელ წამებზე მარხვაშვილს ორჯერ შეეძლო პარტნიორთა გადარჩენა, მაგრამ ორჯერვე უშედეგოდ შე-



უტია ავიატორთა კალათს — 77:79.

საინტერესო ფაქტი მოხდა თსუ-ს და „მაკაბის“ თამაშის პირველი პერიოდის ბოლო წამებზე: სტუდენტთა გამთამაშებელმა ბერიშვილმა სამქულიანი მოედნის ცენტრიდან ჩააგდო — 35:23. ასეთი დებიუტის შემდეგ თსუ-მ ლოგიკურად იმარჯვა — 99:89.

№ 24. პარასკევი, 8 თებერვალი, 2008 წელი.

# განცხადებები აუქციონის ჩატარების შესახებ

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 10 მარტს დღის 15 საათზე, თერჯოლაში, ჭანტურიას ქუჩა №7-ში (თერჯოლის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „თერჯოლის მექანიკური ქარხანას“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. შენობა ტრანსფორმატორისთვის, 20კვმ, აშენებული აგურით, შეფასებულია 1700 ლარად,
2. საყარაულო ჯიხური, აშენებულია აგურით, დაზიანებულია, 39კვმ, შეფასებულია 300 ლარად,
3. მექანიკური საამქრო, აგებულია აგურით და ბლოკით, შენობა ავარიულია, 645კვმ, შეფასებულია 9000 ლარად,
4. საკომპრესოროს შენობა, დაუმთავრებელია, საჭიროებს შეკეთებას, 36კვმ, შეფასებულია 400 ლარად,
5. მთავარი საწარმოო კორპუსი, დაუმთავრებელია, საჭიროებს შეკეთებას, 645კვმ, შეფასებულია 3200 ლარად,
6. სარემონტო ბაზის შენობა, საჭიროებს შეკეთებას, 288კვმ, შეფასებულია 3500 ლარად,
7. ტრანსფორმატორი 630კვტ-იანი, მუშა მდგომარეობაში, შეფასებულია 11000 ლარად,
8. ჰორიზონტალური სარანდავი დაზგა, არ აქვს ძრავი, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 1200 ლარად,
9. ვერტიკალური საბურღი ჩარხი, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 500 ლარად,
10. მილის საღუნავი დაზგა, შეფასებულია 700 ლარად,
11. წნეხი 20-ტონიანი, საჭიროებს შეკეთებას, შეფასებულია 1200 ლარად,
12. სახარატო დაზგა, ფაქტიურად ჯართი 1ტ. შეფასებულია 250 ლარად,
13. ვანა რკინის, მიწის ქვეშ, შეფასებულია 0 ლარად,
14. ვენტილატორი გამწოვი, აღდგენას არ ექვემდებარება, 3 ცალი, შეფასებულია 500 ლარად,
15. უცენტრო სახეხი დაზგა, ფაქტიურად ჯართი, 2 ცალი, შეფასებულია 150 ლარად,
16. მილის საღუნავი დაზგა, ფაქტიურად ჯართი, შეფასებულია 200 ლარად,
17. ვერტიკალური ბურღი, ფაქტიურად ჯართი, 2ც, შეფასებულია 150 ლარად,
18. ქრომის აბაზანა, სახურავის გარეშე, ჯართია, შეფასებულია 250 ლარად,

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 34200 (ოცდათოთხმეტი ათას ორასი) ლარს.

**მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).**

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 22 თებერვალს დღის 14 საათზე, სამტრედიაში, რესპუბლიკის №6-ში (სამტრედიის ყოფილი საგადასახადო ინსპექციის შენობაში) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ნინოშვილის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ადმინისტრაციული კორპუსი, ორსართულიანი, ნაგები ქვით და ბლოკით და აგურით, საერთო ფართი 12,4X21,3კვმ, არ აქვს კარ-ფანჯარა, სახურავი ლითონის თუნუქის, შესაკეთებელია, სართულებს შორის გადახურვა ბეტონის ფილებით, შეფასებულია 8500 ლარად,
2. თავშესაფარი, გადახურვა ბეტონის ფილებით, 45კვმ, შეფასებულია 300 ლარად,
3. საბავშვო ბაღის შენობა, ერთსართულიანი, მანსარდით, აგებული წვრილი ბლოკით, ხის იატაკი, ნაწილი აყრილია, შეფასებულია 18000 ლარად,
4. შემორაგვა ლითონის ღობით,100 გრძ. მეტრი, შეფასებულია 1500 ლარად,
5. ჭიშკარი ლითონის, შეფასებულია 400 ლარად,
6. წიგნების კარადა, 3ც, შეფასებულია 30 ლარად,
7. მაგიდა, 6ც. შეფასებულია 40 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 28770 (ოცდარვა ათას შვიდას სამოცდაათი) ლარს.

**მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებული არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.**

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. N1

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79**.

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 10 მარტს დღის 14 საათზე, თერჯოლაში, ჭანტურიას ქუჩა №7-ში (თერჯოლის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „იბერია 2000“-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. რეზერვუარი ემალის, 7კუბმ, 3 ცალი, შეფასებულია 1950 ლარად,
2. რეზერვუარი ემალის, 12კუბმ, 3 ცალი, შეფასებულია 2850 ლარად,
3. რეზერვუარი ემალის, 12კუბმ, 1 ცალი, შეფასებულია 350 ლარად,
4. რეაქტორი ემალის, 1,6კუბმ,. 4ც, შეფასებულია 800 ლარად,
5. რეზერვუარი ემალის, 20კუბმ, 5ც, შეფასებულია 5000 ლარად,
6. რეზერვუარი ემალის, 25კუბმ, 4ც, შეფასებულია 4800 ლარად,
7. კომპრესორი ამიაკის, 200კვტ ელექტრო ძრავებით, 2ც, შეფასებულია 13000 ლარად,
8. საჰაერო კომპრესორი, 75კვტ ძრავით, შეფასებულია 3500 ლარად,
9. საჰაერო კომპრესორი 2-BU-1-2-2.5, 30კვტ ძრავით, შესაკეთებელია, შეფასებულია 1200 ლარად,
10. საბურღი დაზგა, შეფასებულია 700 ლარად,
11. სახარატო ჩარხი, შეფასებულია 1800 ლარად,
12. სატურატორი, შეფასებულია 200 ლარად,
13. სატურატორი, შეფასებულია 350 ლარად,

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 36500 (ოცდათექვსმეტი ათას ხუთასი) ლარს.

**მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).**

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

# განცხადება

**სააქციო საზოგადოება „ელვას“ სალიკვიდაციო კომისია ატარებს აუქციონს საზოგადოების ბალანსზე რიცხული მიწის ნაკვეთების გაყიდვის მიზნით.** აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება: მიწის ნაკვეთი ფართით 815 კვ. მეტრი, სს „ელვას“ ტერიტორიის სამხრეთ მხარეს, მიწის ნაკვეთი ფართით 605 კვ. მეტრი სს „ელვას“ ტერიტორიის დასავლეთ მხარეს და მიწის ნაკვეთი ფართით 768 კვ. მეტრი, „სს „ელვას“ ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან; მიწის ნაკვეთი ფართით 273 კვ. მეტრი სს „ელვას“ ეზოში. აღნიშნული ფართების ერთი კვ. მეტრის საწყისი ფასია 85 ლარი. აუქციონზე ვაჭრობისას დაცულ უნდა იქნეს ფასის მატების ბიჯი ფასის 5 პროცენტის ოდენობით. აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 10 მარტს 12 საათზე, სს „ელვას“ ტერიტორიაზე. მისამართი: ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №5. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისიაში წარადგენს: განცხადებას, „ბე“-ს ობიექტის ღირებულების 10 პროცენტის გადახდის ქვითარს; პირადობის დამადასტურებელ მოწმობას; მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელით. აუქციონში მონაწილეთა განცხადებები მიიღება ყოველდღე 11 საათიდან 16 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისიაში მიმდინარე წლის 10 მარტამდე. თუ აუქციონის მონაწილე არ გამოცხადდა აუქციონზე, მას „ბე“-ს სახით გადახდილი თანხა არ უბრუნდება. ობიექტის გაცნობა და დამატებითი ცნობების მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

**სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისია**

## განცხადება

სააქციო საზოგადოება „ელვა“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით სთხოვს მის კრედიტორებს გაზეთში გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში მიმართონ საზოგადოების ბუღალტერიას 10 საათიდან 15 საათამდე კრედიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული პრეტენზიების შესახებ შემდეგ მისამართზე – თბილისი, ჯიქიას 5.

**სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისია**

**შპს „კოდ“-ის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს, ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე 44 55 63 ან მოგვაკითხონ მისამართზე: თბილისი, მ.კოსტავას ქ.№75 ა.**

● ფიროსმანი, ბუნებრივია, არ იცნობდა პიკასოს, მაგრამ იგი კარგად იცნობდა და ეტრფოდა მის თანამემამულეს — აქტრისა მარგარიტას, რომლის შედევრული პორტრეტი დახატა დიდი ხნის წინათ და აი, ახლახანს ფიროსმანის შთამომავლობამ — თანამედროვე საქართველომ გადაწყვიტა, რომ „მარგარიტას“ პიკასოს სამშობლოში, საფრანგეთში ქალაქი ვეზლე მოენახულებინა, სადაც ქართველი მხატვრის ნამუშევრების გამოფენა ეწყობა



◎ ხიდი

# ფიროსმანი — ვეზლეში, პიკასო — სიღნაღში

**გენიალურმა პიკასომ გენიალური ფიროსმანის ხელოვნებას იმით მიაგო პატივი, რომ 1972 წელს მისი პორტრეტი შექმნა. ილია ზდანევიჩის წიგნისათვის. ამ პორტრეტის გრავიურა, უფრო სწორად წიგნის ორი ეგზემპლარიდან ერთი ფიროსმანის მშობლიური სოფლის, მირზაანის მუზეუმში ინახება, მეორე კი ხელოვნების მუზეუმში.**

ფიროსმანი, ბუნებრივია, არ იცნობდა პიკასოს, მაგრამ იგი კარგად იცნობდა და ეტრფოდა მის თანამემამულეს — აქტრისა მარგარიტას, რომლის შედევრული პორტრეტი დახატა დიდი ხნის წინათ და აი, ახლახანს ფიროსმანის შთამომავლობამ — თანამედროვე საქართველომ გადაწყვიტა, რომ „მარგარიტას“ პიკასოს სამშობლოში, საფრანგეთში ქალაქი ვეზლე მოენახულებინა, სადაც ქართველი მხატვრის ნამუშევრების გამოფენა ეწყობა, ასე გრძელდება დაუსრულებელი დიალოგი ორ გენიალურ მხატვარს შორის.

„აქტრისა მარგარიტას“ გარდა ფრანგი დამთვალიერებელი იხილავს ფიროსმანის კიდევ 16 ტილოს, რომლებიც დაცულია რასპიჯორნე ი ნა ვქნოსტჯ, მუზეუმის შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში. 31 აგვისტოდან 11 ნოემბრამდე ქალაქ ვეზლიე ზერვოსის მუზეუმში გამოიფინება: „დათვი მთვარიან ღამეში“, „ნატურმორტი“, „მზარეული“, „ლუდხანა ზაქათალა“, „ქეიფი მეარღნე დათიკო ზემელთან“, „კახეთის მატარებელი“, „ჟირაფი“, „შეთე გზას უჩვენებს ბარიატინსკის“, „ხილის გამყიდველი თათარი“, „აბრა Распивочно и на вынос“, „თეთრი ღორი გოჭებით“,



„მეეზოვე“, „უშვილო მილიონერი და ღარიბი — შვილებით“, „რუსეთ-იაპონიის ომი“, „მარანი ტყეში“ და „ბოლნისის წმინდა გიორგის დღეობა“. ტილოები შეირჩა იმის მიხედვით, რომ ისინი კარგად არის დაცული და ტრანსპორტირება მათ ზიანს არ მიაყენებს.

ზერვოსის მუზეუმი ცნობილი ფრანგი მწერლის რომან როლანის სახლშია განთავსებული, მუზეუმში დაცულია პიკასოს, კალდერის, ჯაკომეტის, ერნსტის, ჰელიონის, მიროს, კანდისკისა და სხვა ცნობილ მხატვართა ნამუშევრები. თავად მუზეუმი კი დაუარსებია ფრანგ გამომცემელსა და ხელოვნეათმცოდნე ქრისტიან ზერვოსს. მასვე დაუარსებია პარიზის ცენტრში გამომცემლობა, რომელიც მოგვიანებით გალერეად გადაკეთდა. გარდაცვალების შემდეგ (1970წ) ქრისტიან ზერვოსმა პირადი კოლექცია ქალაქ ვეზლეს უანდერძა. აქ დაცულია დაახლოებით 800-მდე ტილო.

ფიროსმანის გამოფენის გარდა პროექტით გათვალისწინებულია 2009 წელს საქართველოში მოეწყოს პიკასოს ნამუშევრების, კერძოდ მისი გრავიურებისა და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა — სიღნაღის, მუზეუმში, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს. შესაძლოა გამოიფინოს თბილისშიც. აი ამ საკითხების თაობაზე მოსალაპარაკებლად ახლახან თბილისს ეწვია საფრანგეთის იონის მხარის 15-კაციანი დელეგაცია.

სამუზეუმო ექსპონატების დროებითი სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება ოფიციალურად გაფორმდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ და იონის გენერალური საბჭოს პრეზიდენტმა, სენატორმა ანრი და რენკურმა. ამ ცერემონიალს დაესწრო საფრანგეთის ელჩი საქართველოში ერიკ ფურნიეც.

— საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და საფრანგეთის კავშირი დღეს განუყრელი ცნებებია, საფრანგეთი მხარში უდგას მუზეუმს და ეს ნაყოფიერი თანამშრომლობაა. დღეს მუზეუმის რეკონსტრუქცია სწორედ ჩვენი ფრანგი მეგობრების დახმარებით მიმდინარეობს. თვით ეს აუდიტორიაც, სადაც ახლა პირველ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, სწორედ ფრანგი მეგობრების დახმარებით არის შექმნილი. სიმბოლურია, რომ ფრანგული კულტურის ცენტრი ეროვნულ მუზეუმშია განლაგებული, ახლა ჩვენ ერთობლივად ვახორციელებთ კულტურულ პროექტებს და ეს პროექტიც ამ ურთიერთთანამშრომლობის შედეგია. თანაც ეს არ იქნება მხოლოდ თბილისში, მას გაგრძელება ექნება სიღნაღში. ეს არ არის მხოლოდ ქართული კულტურის ექსპორტი, ეს არის დასაწყისი იმ პროცესისა, რომელსაც ჰქვია მაღალი კულტურის იმპორტი საქართველოში, — თქვა ცერემონიალზე დავით ლორთქიფანიძემ.

**— ჩვენ კარგად ვიცით, რამდენად მდიდარია საქართველოს ეროვნული მუზეუმი ექსპონატებით, ტილოებით. ვამაყობ რომ ფიროსმანის 17 ტილო ჩვენს დეპარტამენტში — ვეზლეში იქნება გამოფენილი. იგი კულტურის უმნიშვნელოვანესი კერაა და ფიროსმანის ზოგიერთი ნამუშევარი, რომლებსაც არასოდეს დაუტოვებია სამშობლო და უცხოეთში არასოდეს უნახავთ, პირველად სწორედ ჩვენთან გამოიფინება. მადლობა ქართულ მხარეს, რომ ნდობა გამოგვიცხადეს და ამის უფლება მოგვცეს, — განაცხადა სენატორმა ანრი დე რენკურმა.**

როგორც ცნობილი გახდა ფიროსმანის ტილოები ფრანგულმა მხარემ დააზღვია 20 მილიონ 900 ათას დოლარად.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**სურათებზე: დავით ლორთქიფანიძე და ანრი დე რენკური ხელშეკრულების გაფორმებისას. პიკასოს გრაფიკული ნამუშევარი „ფიროსმანი“.**

№ 24. პარასკევი, 8 თებერვალი, 2008 წელი.

ხელოვნება

# ლაზარე ზამბახიძე

ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმძიმესი დანაკლისი განიცადა — სამოცდახუთი წლის ასაკში გარდაიცვალა ქართველი მათემატიკოსი, უმაღლესი დონის პროფესიონალი, შესანიშნავი პედაგოგი, უაღრესად დახვეწილი, ნათელი და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლაზარე ზამბახიძე.



ლ. ზამბახიძე უდიდესი ტრადიციების მქონე ქართული მათემატიკური სკოლის აღზრდილია. დაიბადა თბილისში 1942 წლის 10 ივლისს ცნობილი ინჟინრისა და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ზამბახიძის ოჯახში. 1959 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის 53-ე საშუალო სკოლა, რის შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1965 წელს. შემდეგ ასპირანტურის კურსი გაიარა თსუ ალგებრა-გეომეტრიის კათედრაზე ქართული ტოპოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის ხელმძღვანელობით. 1969 წლიდან მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ალგებრა-გეომეტრიის კათედრის ასისტენტად. ამავე პერიოდში, შეთავსებით, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ფიზიკა-მათემატიკის და ქიმიის მეცნიერებათა რედაქციის უფროსი სამეცნიერო რედაქტორია. 1973 წელს წარმატებით იცავს დისერტაციას ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხოლო 1978 წლიდან თსუ ალგებრა-გეომეტრიის კათედრის დოცენტია. 1984 წელს ლ.ზამბახიძე იცავს დისერტაციას ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1985 წლიდან იგი ალგებრა-გეომეტრიის კათედრის პროფესორია, ხოლო 1998 წლიდან 2006 წლამდე — ალგებრა-გეომეტრიის კათედრის გამგე. უნივერსიტეტში სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ბატონი ლაზარე დიდი წარმატებით უთავსებდა ადმინისტრაციულ საქმიანობას. 1978 წელს, სრულიად ახალგაზრდა, აირჩიეს თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად, რომელსაც დიდი წარმატებით ხელმძღვანელობდა 2006 წლამდე.

ლაზარე ზამბახიძის ძირითად სამეცნიერო ინტერესთა წრე მოიცავს თანამედროვე გეომეტრიის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგს, როგორიცაა ტოპოლოგია. მას ეკუთვნის ორმოცდაათამდე სამეცნიერო გამოკვლევა ამ მიმართულებით, რომელთა უმეტესობა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი შედეგები ტოპოლოგიურ სივრცეთა განზომილების, ტოპოლოგიურ ჯგუფთა და განზომილების აქსიომურ თეორიებში. მის მიერ შესწავლილი და გამოკვლეულია რიგი კარდინალურ-მნიშვნელობებიანი ინვარიანტებისა და დადგენილია მათ შორის კავშირები; ამასთანავე, სივრცეთა ისეთ უმნიშვნელოვანეს კლასებში, როგორებიცაა სავსებით რეგულარულ და თვლადბაზისიან მეტრიზებად სივრცეთა კლასები, შესწავლილია კლასიკური განზომილების ფუნქციათა ძირითადი თვისებების რეალიზებადობა-არარეალიზებადობის საკითხები, გადაჭრილია კლასიკოსების — ა.არხანგელსკისა და ლ.ტუმარკინის პრობლემები, აგებულია აქსიომათა დამოუკიდებელი სისტემა, რომელიც ახასიათებს კლასიკური განზომილების ფუნქციას სეპარაბელურ მეტრიზებად ტოპოლოგიურ სივრცეთა კლასში და სხვა. ლ.ზამბახიძის მიერ მიღებულ შედეგებს ემყარება ამერიკის, პოლონეთის, ჰოლანდიის, რუსეთის, საბერძნეთის, ესპანეთის, იაპონიის და სხვა სამეცნიერო ცენტრებში შესრულებული არა ერთი ნაშრომი. რიგი მისი შედეგებისა შესულია რ.ენგელკინგის ცნობილ მონოგრაფიაში, რომელიც ყოველი ტოპოლოგის სამაგიდო წიგნია. არა ერთი საერთაშორისო კონფერენციისა თუ სიმპოზიუმის მონაწილე, იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეგობრებისა და კოლეგების წრეში. ლ.ზამბახიძე იყო მსოფლიო დონის მკვლევარი და ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი მათემატიკის ამ დარგში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ლ.ზამბახიძის პედაგოგიური მოღვაწეობა. წლების მანძილზე კითხულობდა ძირითად კურსებს ანალიზურ გეომეტრიაში, წრფივ ალგებრასა და გეომეტრიაში, აგრეთვე მიყავდა არაერთი სპეციალური კურსი და ხელმძღვანელობდა სამეცნიერო სემინარს ტოპოლოგიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, ბოლო წლებში კი, ასევე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთათვის. 2004 წელს მიწვევით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოჰაიოს უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტში, სადაც კითხულობდა ლექციების კურსს მათემატიკაში. ლ. ზამბახიძის მოსწავლეების მიერ (რომელთა შორის თერთმეტი ქართველი მათემატიკოსია, ერთი ყირგიზეთის, ერთი კი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მოქალაქეა) დაცულია 13 დისერტაცია ტოპოლოგიის დარგში, რომელთაგან სამი — სადოქტოროა.

ბატონი ლაზო (როგორც მას მეგობრები, ახლობლები და სტუდენტები ეძახდნენ), იყო შესანიშნავი პედაგოგი. სულით ყოველთვის ახალგაზრდა, იგი სტუდენტობის ნამდვილი მეგობარი იყო. იყო მომთხოვნიც (პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ) და ამავე დროს უაღრესად კეთილგანწყობილიც თითოეული სტუდენტის, ახალგაზრდა სპეციალისტისა თუ კოლეგის მიმართ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი შინაგანი წესიერება მოღვაწეობის ყოველ სფეროში და ყოველ ეტაპზე. იყო ძალიან ძლიერი და, ამავე დროს, უფაქიზესი სულის მქონე პიროვნება, ვერ ეგუებოდა უსამართლობას და არაპროფესიონალიზმს და მიუხედავად მისი პიროვნების სიძლიერისა, უნივერსიტეტში ბოლო დროს განვითარებულმა ზოგიერთმა მოვლენამ უაღრესად უარყოფითი გავლენა იქონია მის უკანასკნელ ხანს ისედაც გაუარესებულ ჯანმრთელობაზე.

ჩვენთვის, მისი კოლეგებისა და მეგობრებისათვის, მძიმეა და თითქმის შეუძლებელი იმ აზრთან შეგუება, რომ ეს ღირსეული ადამიანი ჩვენს შორის აღარ არის. უაღრესად რთულია ანუგეშო მისი ოჯახის წევრები, ბატონი ლაზო ხომ შესანიშნავი მეუღლე, მოსიყვარულე მამა და ბაბუა იყო. ერთი რამის თქმა კი ნამდვილად შეიძლება: მისი ნათელი სახე არასოდეს წაიშლება ჩვენი მეხსიერებიდან და იგი ყოველთვის დარჩება ჩვენთვის როგორც მაგალითი ადამიანისა, რომელშიც ერთად იყო თავმოყრილი უდიდესი პროფესიონალიზმი, სიკეთე, ოჯახისა და მეგობრებისადმი ერთგულება და უსაზღვრო სიყვარული თავისი ქვეყნისა.

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი,
კოლეგებისა და მეგობრების ჯგუფი.

---

შვილები მაკო, გოგი, ირაკლი, რძალი მაია ქუთათელაძე, სიძე ირეკ კაჩმარეკი, შვილიშვილები სანდრო, ნიკა, აჩი, მაგდა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ ნიკოლაიშვილი

პანაშვიდი 8 II, 17 სთ. გამოსვენება 9 II, 14 სთ. მისამართი იოსებიძის ქ. 78.

---

მეუღლე ლია დგებუაძე, შვილები ნინო, მაია, სიძეები ლევან ტრაპაიძე, დათო ჯებაშვილი, შვილიშვილები ნინო, ზურა, ნოდარი, ილია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლაზარე (ლაზო) ზამბახიძე

პანაშვიდი 8 II, 17 სთ. ხორავას ქ. 4. გამოსვენება 9 II, 14 სთ. საბურთალოს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან (საბურთალოს ძმათა სასაფლაო).

---

ირაკლი კოვზანაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, სასახელო მამულიშვილი, მათემატიკოსების მრავალი თაობის აღმზრდელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლაზარე (ლაზო) ზამბახიძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

ციალა, ნატალია, ირაკლი, თემურ ანდრიაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ღირსეული მამულიშვილი

ლაზარე (ლაზო) ზამბახიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ჯიმშერ, ომარ, მურად ანჯაფარიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძმის

ანზორ ანჯაფარიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 II, 16 სთ. გამოსვენება 10 II, 14 სთ. მისამართი: ფეიქრების ქუჩა №8.

● „გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა სულიერებით უტოლდება ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს. ქართველთა ყველაზე ძლევამოსილმა მეფემ შთამომავლობას დაუტოვა თავისი სულის საოცარი აღსარება, შეწყალება გამოთხოვა ღმერთს



## ◎ სულიერება

# წმიდა კეთილმსახური მეფე — დავით აღმაშენებელი



**8 თებერვალს ხსენებაა წმიდისა კეთილმსახურისა დავით მეოთხისა, მეფისა ყოვლისა საქართველოისა, აღმაშენებლად წოდებულისა.**

...ცნობილია, რომ XI საუკუნის საქართველო ფიზიკური და სულიერი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ერთ დროს ქრისტესმოყვარე ერი უსჯულოებამ და ცოდვამ მოიცვა. 1089 წელს, საქართველოს იმედად და პატრონად მოევლინა განსწავლული, ღვთის მოშიში, ბრძნადმეტყველი, ქვრივობოლთა განმკითხავი, სამართლიანი მსაჯული, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა — წმიდა დავით აღმაშენებელი.

...მეფე დავითმა, უპირველეს ყოვლისა, დაიწყო დიდი თურქობის დროს გაქცეული მოსახლეობის დაბრუნება ძველ ნამოსახლარზე, აზნაურები შემოიკრიბა და მათთან ერთად შეუდგა ერის შეკრებას; ურჩი დიდებულების დათრგუნვის შემდეგ მეფე მიხვდა, რომ ძლიერი სახელმწიფოს ქვაკუთხედი მშვიდობისა და ერთობის დამყარება იყო ქვეყანაში.

დავით მეფემ თავისი გონიერი მზერა მიაპყრო ეკლესიას. მან მოიწვია საეკლესიო კრება, მის ძეგლისწერაში აღნიშნულია, რომ მართლმადიდებლობას ერის და პიროვნების გადარჩენის საქმეში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

კეთილმსახურმა მეფემ ქვეყნის შიდა პოლიტიკის რეფორმის და აღმშენებლობის შემდეგ თურქთაგან საქართველოს გაწმენდას მიჰყო ხელი. დიდგორთან ომის მოგების (1121 წელს,ძ, თბილისის აღების (1122 წ.ძ, დმანისის შემოერთების შემდეგ მან საქართველოს გაერთიანება დაასრულა.

საგულისხმოა, რომ უფალი შეეწეოდა ღვთის მადიდებელ მეფეს, გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა... **ჯერ კიდევ 1106 წელს დაიწყო დავით მეფემ თავისი აღმშენებლობითი მოღვაწეობის გვირგვინის — გელათის მონასტრის მშენებლობა... დავით მეფემ მონასტერს დიდძალი განძი და ომებში მოპოვებული ნადავლი შესწირა, მისი მზრუნველი ხელი დაეტყო საქართველოს საზღვრებს გარეთ წმიდა ადგილებში მრავლად არსებულ ქართულ სავანეებს.**

...კაცთმოყვარე მეფემ სნეულთათვის ქსენონი ააშენა. სიუხვით და წყალობით სავსე თვითონაც ხშირად ნახულობდა ავადმყოფებს, უხვად გასცემდა მოწყალებას...

მწიგნობარი მეფე თავისუფალ დროს საღმრთო წერილის და სხვა წიგნების კითხვას ანდომებდა. მას წიგნები ომშიც დაჰქონდა, როცა დაიღლებოდა, სხვას აკითხებდა. **ის სწორუპოვარი ჰიმნოგრაფიც იყო, მისი „გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა სულიერებით უტოლდება ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს. ქართველთა ყველაზე ძლევამოსილმა მეფემ შთამომავლობას დაუტოვა თავისი სულის საოცარი აღსარება, შეწყალება გამოთხოვა ღმერთს.**

წმიდა მეფე აღესრულა 53 წლის ასაკში, დაკრძალეს მის მიერვე აგებულ და სამეფო საძვალედ დადგენილ გელათის მონასტრის შესასვლელში. განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავენ 8 თებერვალს წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში, რომელიც თსუ I კორპუსის ეზოში მდებარეობს.

**გიული ლიპარტია**

## ◎ ინფორმაცია

### ღმერთმა ამრავლოს

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემებით, დაბადებისა და ქორწინების რეგისტრაციის რიცხვმა იმატა.**

როგორც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან იტყობინებიან, 2007 წელს საქართველოში ამავე წელს დაბადებული 48 026 ბავშვის დაბადება დარეგისტრირდა. შედარებისთვის: 2006 წელს — 45 931, ხოლო 2005 წელს — 41 434 ახალშობილი იყო რეგისტრირებული.

შარშან სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულმა სამსახურებმა ქვეყნის მასშტაბით გარდაცვალების 35 774 ფაქტი აღრიცხეს, 2006 წელს — 35 456, ხოლო 2005 წელს — 27 812.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სამმართველოს ცნობით, 2007 წელს 25 925 წყვილმა გააფორმა ქორწინება, შედარებისთვის: 2006 წელს — 21 876-მა, ხოლო 2005 წელს — 17 752-მა წყვილმა.

რაც შეეხება განქორწინებას, შარშან ასეთი 2 421 ფაქტი აღირიცხა, შედარებისთვის: 2006 წელს — 2 082, ხოლო 2005 წელს — 1968 განქორწინება დარეგისტრირდა.

### ოღონდ იდავითონ!

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემებით, მამაკაცის სახელებში დავითი პოპულარობით მხოლოდ გიორგის ჩამორჩება.**

8 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს აღნიშნავს. ამ თარიღთან დაკავშირებით სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-ანალიტიკურმა სამმართველომ გაცემული პირადობის მოწმობების საფუძველზე კვლევა ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ 16 წლის და უფროსი ასაკის მოქალაქეებში 68 438 დავითია.

როგორც სამოქალაქო რეესტრიდან იტყობინებიან, კვლევა მოიცავს სახელი დავითის კნინობით-ალერსობით ფორმებსაც: დათო, დათუნა, დათა და სხვა. აღსანიშნავია, რომ სახელი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან პოპულარობას სტაბილურად ინარჩუნებს.

### ხანძარი ანაკლიის ქუჩაზე

**თბილისში, ანაკლიის ქუჩაზე ხანძარი გაჩნდა. როგორც საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურიდან იტყობინებიან, ადგილზე გაიგზავნა ოთხი სახანძრო მანქანა.**

წინასწარი ინფორმაციით, ხანძარი ქალბატონის მიერ სახლში ცეცხლის ანთების დროს გაჩნდა, რის შედეგადაც ექვს კვადრატულ ფართობზე დაიწვა იატაკი. დამწვრობა მიიღო ქალბატონმაც.

**ინტერპრესნიუსი**


რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.


## ◎ ანეკდოტები

— მიხო, აკი შენზე თქვეს მოკვდაო? — გაოცებისგან ლამის თვალები ამოუცვივდეს ნიკას.

— კი, მოვკვდი. საიქიოში მოვხვდი. იქ ცოდვა-მადლი იწონებოდა. სასწორის ერთ პინაზე ჩემი ცოლები დაალაგეს, მეორეზე — ჩემი კეთილი საქმეები. ორივე თანაბარი იყო, არც ერთი გრამით მეტი. ჰოდა, გამომიშვეს, რაიმე ქმედება ჩაიდინეო.



— ცხადია, რაიმე კარგის გაკეთებას აპირებ, არა?

— იცი რა, ვაპირებ, რომ ერთი 50 წელი არაფერიც არ ჩავიდინო.

* * *

აზრი იმის თაობაზე, რომ ამჟამინდელი თაობა წინანდელზე უარესია, გაჩნდა მაშინვე, როგორც კი მაიმუნისგან ადამიანი იშვა.

* * *

მტრებს ისე უნდა აპატიო, რომ ტიროდნენ.

* * *

თუ ყოველი მეორე საკუთარი აზრი გენიალურად გეჩვენება, გადააგდე არყის ბოთლი და გამოიძინე.

* * *

— ნაძირალა ხარ, მხეცი, საზიზღარი ტიპი! — ეჩხუბება ქალი კაცს. — მთელი ცხოვრება გამიფუჭე! ყველაზე ნათელი გრძნობები გამითელე, შე საკუთარ თავზე შეყვარებულო, საძაგელო ეგოისტო! არარაობავ! შენი დანახვაც არ მინდა! მაკოცე!!!

## ◎ კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.